რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 24 მაისი 1917 წ.

# ბრძოლა

I წელი

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Т флис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 53 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 53

## ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ბიურო აცხადებს, რომ უფასოთ და ფასდადებით წიგნები აიავის გაეგზავნება.

ღრმათ დამწუხრებულნი: გიორგი სიმონის ძე იორაიშვილი, სონია კვაშალისა და მაშო დუმბაძისა იორაიშვილის ასულნი; შურა დუდუჩავა და ლიზიკო აბაშიძე აუწყებენ ნათესავათა და ნაცნობთ, რომ 19 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველი სამი მათგანის უძვირფასესი დედა, ხოლო უკანასკნელის საყვარელი და დაუვიწყარი გამზრდელი ბებია

**მარინე ვახტანგი ასული იორაიშვილისა.**

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, ოცდა სამ მაისს, კვირიკეთის ეკლესიაზე.

ღრმათ დამწუხრებული ბაზილინა ვახტანგის ასული ბებურიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ცხრამეტ მაისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი და დაუვიწყარი დაი მისი

**მარინე იორაიშვილისა ვახტანგის ასული.**

**თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი**
აუწყებს მცხოვრებთ, რომ 1 ივნისიდან
**ლიმონათის გაყიდვა**
სავსებით აკრძალულია. 2—2

ალმასრულებელ კომიტეტის კომისარიატი ქ. თფილისისა საყოველთაოთ იუწყება, რომ ... (როგორც კერძო პირთ ისე დაწესებულებებს)

**უფლება არ აქვთ გამართონ უულაგებით ფულის მოგროვება**

ქუჩებში კომისარიატის ნებადაურთველათ. მასთან ყოველივე მოგროვებული ფულის ანგარიში უნდა წარედგინოს თფილისის ალმასრულებელ კომიტეტის კომისარიატს.

2—2 კომისარიატი.

## მე-2 უბნის სასურსათო კომიტეტი ქ. თფილისში.

### მოწოდება.

მოქალაქენო! მეორე უბნის სასურსათო კომიტეტი უკვე შესდგა. დარწმუნებული ღრმათ რომ თქვენ გრწამთ დროებითი მთავრობის პრინციპები—„ხალხმა თვითონვე უნდა აკეთოს თავის საქმე", მოგიწოდებთ დაგვეხმაროთ ახალ სასურსათო ორგანიზაციის შექმნა გამტკიცებაში, აღმოგვიჩინოთ ყოველ მხრივ დახმარება პირველ მოთხოვნის საგნების, როგორც მომხმარებელთა შორის წილის გამორკვევაში, ისე ამ საგნების მათ შორის სამართლიანათ განაწილებაში.

მოქალაქენო! თქვენი შეუმჩნეველი არაფერი დარჩება, ამიტომ ყოველივე ბოროტ-მოქმედებაზე, სავალდებულო დადგენილების დარღვევაზე: როგორიც არის ნიხრის დარღვევა, სურსათის გადამალვა, სპეკულიაცია, უსუფთაობა და სხვა თქვენ მიერ შეკრებილი ამაზე გარკვეული ცნობები მყისვე უნდა იქნეს საუბნო სასურსათო კომიტეტში გადაცემული.

ყოველივე უწესოება სასურსათო ნიადაგზე, შეაჩერებს დაწყებულ დიდებულ საქმეს რუსეთის რევოლიუციის და თავისუფლების დამყარებას.

თქვენ კი მოქალაქენო-მოვაჭრენო, თქვენი ვალია ამ მძიმე დროს დაეხმაროთ მცხოვრებლებს პირველ მოთხოვნილების საგნების გაიაფებით და ყოველივე სავალდებულო დადგენილების და ნიხრის წმინდათ დაცვით.

მოქალაქენო! ვისაც სურვილი გაქვთ თქვენი შრომით, დახმარება აღმოუჩინოთ სასურსათო კომიტეტს, მობრძანდით ჩასაწერათ კომიტეტის კანტორაში ჭავჭავაძის ქ. № 9. დილის ს.—1 საათ.

2—2 კომიტ. თავმჯდომარე ზ. ბიჭაშვილი, თავმჯ. ამხ. ტიშკოვი კრავეც.

**სამტრედიის რ. ს.-დ. მ. პარტიის კომიტეტი**

იწვევს მთელი რაიონის პარტიის წევრების ყრილობას კვირას, 28 მაისს, რკ. გზის კლუბში დილის 11 საათზე.

**განსახილველია** 1) კავკასიის პარტიულ სიეზდისთვის წამოყენებული კითხვები; 2) დელეგატების არჩევნები.

კომიტეტი სთხოვს საზოგადოების (სამტრედია, კულაში, ჭაგანი, ეწერი, ჯიხაიში, გამოჩინებული, ტობანიერი და მუხაყრუა) კოლექტივებს, მოახდინონ ძირითადი ორგანიზაციების კრებები და გააცნონ მოხსენებული კითხვები, რათა რაიონულ საერთო ყრილობისთვის დამზადებულნი იყვნენ წევრები.

3—1 სამტრედიის ს.-დ. რაიონის კომიტეტი.

**ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.**

სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

ოთხშაბათს, 25 მაისს 1917 წ. ა. ცაგარლის გარდაცვალებიდან 15 წ. ხსოვნის აღსანიშნავად ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა

**1. რაც გინახავს ვეღარ ნახავ**
კომ. 3 მოქ.
**2. ცოცხალი სურათები.**

მონაწილეობას მიიღებენ: სცენის მოყვარეთა მთელი წრე.

დასაწყისი სად. სწორეთ 8 ნახ. საათზე. ◆ ადგილების ფასი 20 კ-დან 1 მ. 49 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე. შემდეგი წარმოდგენა 25 მაის. ◆ ◆ რეჟ. ქ. შათირიშვილი.

გულ-დათუთქული: მამა ბესარიონ, ძმები კასიანე და გიორგი იმნაიშვილები ულრმეს მადლობას უცხადებთ ვალოდა (იგივე ალექსანდრე) ფულარიას, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია უდროოდ დაკარგულ ჯარის კაც ბიქტორ იმნაიშვილის გამოსვენებაზე ქ. ალექსანდროპოლიდან და აგრეთვე მადლობას უცხადებთ იმ ამხანაგ ჯარის კაცებს, რომლებმაც პირადი დასწრებით ან წერილობითი თანაგრძნობა გამოგვიცხადეს.

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები ერისთო დიონის ძე და ირინე დანელიასი მადლობას უცხადებთ ყველა ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს ვინც მონაწილეობა მიიღო ჩვენს საყვარელ შვილის ივანე ერისთოს ძე დანელიას დასაფლავების დღეს 14 მაისში ქალაქ თფილისში.

თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის კოლექტივის ბიურო რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა, № 1). იქვე მიიღებიან წევრები დილის 10—12 საათამდე, საღამოს 4—7 საათ.

ახალი დაარსებული მცხეთის რაიონის, დუშეთის მაზრის სოც.-დ. ჯგუფი მოუწოდებს ყველა ამხანაგს ჩაეწერონ პარტიაში. მალე მოხდება დამფუძნებელი კრება, რომელიც აირჩევს დუშეთის მაზრის ს.-დ. კომიტეტს. მცხეთის რაიონის დუშეთის მაზრის სოც. დემ. პარტიის ჯგუფი. მსურველთ შეუძლიათ წევრათ ჩაეწერონ შემდეგ პირებთან: დუშეთში მიშა კლიმიაშვილთან, მცხეთაში დ. ქიტუაშვილთან, გ. დეკანოზიშვილთან, ჯარის კაც ს. იმერლიშვილთან, ალ. კაპანაძესთან, შ კობიაშვილთან, პ. გოგისვანიძესთან და დ. გურგენიძესთან (კარსანში).

ვსთხოვ უცნობს, რომელსაც თფილისიდან ბათუმისაკენ მატარებლით მგზავრობის დროს 6 მაისს, მივაწოდე **გიტარა** და რომლის გამორთმევაც ვერ მოასწარი შემატყობინოს თავის ადრესი რათა მე ჩემისავე ხარჯით დავიბრუნო ჩემი გიტარა.

ჩემი ადრესია: ქუთაისი, ორპირის ქ. № 34 ვასილ ბეჟანეიშვილი.

## სამინისტროს კრიზისი.

რუსეთის რევოლიუცია მეტათ სწრაფი ნაბიჯით მიექანება. კრიზისი კრიზისს მისდევს. ჯერ კიდევ არ დადუმებულა ბრძოლა კოალიციონურ სამინისტროს გარშემო, რომ უკვე ახალი კრიზისის წინაშე ვდგევართ.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონოვალოვი დროებით მთავრობიდან გავიდა.

რა არის მიზეზი წასვლის? პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო ამის შესახებ შემდეგს გვატყობინებს:

„თავ. ლვოვმა, მთელი მთავრობის სახელით მიმართა კონოვალოვს და სთხოვა თავის გადაწყვეტილება უკანვე წაეღო, მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მისი წასვლა არ არის სასურველი და რომ ამასთანავე ამ წასვლიდან იმ დასკვნას გამოიყვანებენ, რომ სამრეწველო ბურჟუაზიის და დროებით მთავრობის შორის უთანხმოება არსებობს.

კონოვალოვმა აღნიშნა, რომ სავსებით გრძნობს მომენტის სერიოზულ ხასიათს, სწორეთ ამიტომ გადაწყვიტა ასეთი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. მას არ შეუძლია მთავრობაში მონაწილეობა, მისი რწმენით დასახული ღონისძიებანი ვერ გვიხსნიან კრიზისისაგან. იმედი კრიზისის თავიდან აშორების შეიძლება გვქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროებითი მთავრობა მართლა გამოიჩენს სრულ ძალა-უფლებიანობას და აღადგენს დარღვეულ დისციპლინას. ის ვერ ხედავს ამას, და ამიტომ აუცილებლათ თვლის თავს თანამდებობა დასტოვოს. მისი აზრით, საჭიროა გზა მიეცეს შემდეგ ეტაპს რევოლიუციისას და შესდგეს ერთიანი სოციალისტური სამინისტრო".

ვის დისციპლინაზე ლაპარაკობს აქ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი? ვის დამორჩილებას თხოულობს ის? რევოლიუციურ მუშათა კლასისას, რომელიც ამ ბრძოლის პროცესში ცდილობს თავის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამით ვაჭრობა მრეწველთა კლასის უსაზღვრო მოგებას შემცირებას უქადის.

შრომის სამინისტრო, რომელსაც ს. დ. სკობელევი ხელმძღვანელობს კიდეც შეუდგა მუშათა მთელ რიგ საჭიროებათა გამორკვევას და მათ მოწესრიგებას. აი ეს აშინებს ბურჟუაზიულ კლასებს და ისინი თავის ჯიბის ინტერესებისთვის მხათ არიან თავისუფლებისთვის მებრძოლთ გამოეცალონ და დროებით მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგნენ.

„წესიერება აღადგინეთ" — რევოლიუცია შეაჩერეთ, აი რას ნიშნავს კონოვალოვის სიტყვები. ამასვე ქადაგებდა მილიუკოვიც კადეტთა სიეზდზე. ამ რიგათ გუჩკოვ-მილიუკოვის კომპანიას ახალ-ახალი რაზმები ემატება, რევოლიუციურ მუშათა და გლეხთა რაზმებს წინ ახალ-ახალი დაბრკოლებები და წინააღმდეგობანი უხვდება.

რით გათავდება ეს კრიზისი?

წინდაწინვე ძნელი სათქმელია.

ერთი კი ცხადია, დემოკრატია დღეს უკვე მარტოთ მარტო რჩება ბრძოლის ველზე და ერთათ ერთ მედგარ დამცველათ გამოდის მოპოვებულ თავისუფლებისა. გენერალ ალექსეევის ანექსიონისტური სიტყვა აფიცერთა სიეზდზე, ჯარში კონტრ რევოლიუციონური აგიტაციის გაძლიერება, ქალაქებში მეფის სასარგებლო მანიფესტაციების მოწყობა—ყველა ეს ერთათ ქმნის ძლიერ კონტრ-რევოლიუციურ არმიას, რომელიც ახალ ახალ კრიზისს იწვევს და მუშათა კლასის განმარტოვებას და ასე რევოლიუციის დამარცხებას აპირებს. დემოკრატიის ვალია ამ საპასუხისმგებლო მომენტში მტკიცეთ შეერთდეს, შინაური უთანხმოებები უკუაგდოს და თავისუფლების მძიმე ტვირთი შეერთებული ძალით ატაროს.

მინისტრათ ნამყოფი კონოვალოვი მათ მზაკვრულათ ურჩევს—ერთფეროვანი სოციალისტური სამინისტრო შეადგინონ, რომ ამით მთელი პასუხისმგებლობა ბურჟუაზიულ რევოლიუციაში მათ დააკისროს. მარა სოციალისტთა მთავრობაში გაბატონებისთვის ჯერ წუთი არ დამდგარა. ამისთვის არც ეკონომიური და არც პოლიტიკური პირობები მზათ არაა. მუშათა კლასის მიერ ასეთ რჩევის განხორციელება დღეს დღეობით მტრის გასახარელი საქმის გაკეთება იქნებოდა.

დემოკრატიამ თავისი რევოლიუციური მუშაობა უნდა განაგრძოს. მეტი შეერთება, მეტი სიმტკიცე და მთლიანობა გამოიჩინოს, ახალ ახალი ძალები აგროვოს, რომ ამით ბურჟუაზიული საზოგადოებაში თავისი უფლებები უზრუნველყოს.

## ეროვნული ბრძოლა და პროვოკაცია.

რევოლიუციას ჩვეულებრივ კონტრ რევოლიუციონური მოძრაობა მოსდევს ხოლმე და ბნელი ძალები ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ საერთო მოქმედებაში დისონანსი შეიტანონ.

დიდი მემამულეები და მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიული კლასები, რაც დრო გადის, ძალას იკრებენ, რევოლიუციონურ კლასის პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნებს მხარს არ უჭერენ და მის საწინააღმდეგოთ ირჯებიან. მაგრამ მათ ასეთ მოქმედებას ჯერჯერობით ისეთი ცხოველმყოფელი ძალა არ გამოუღია, რომ მოეხერხებიათ პროლეტარული ძალები გაეთიშა, ერთი მეორესათვის ჩამოეშორებია. პირ-იქით ზევით დასახელებულ კლასის გამოსვლა პროლეტარიატს და საზოგადოთ მშრომელ კლასებს უფრო მეტათ აკავშირებს, უკანასკნელთ შორის სოლიდარობას აცხოველებს და მათ ორგანიზაციულ ძალას ერთი ორათ ზრდის.

სულ სხვა გვარი ნაყოფი მოაქვს ეგრეთ წოდებულ ნაციონალისტ-შოვინისტთა მოქმედებას. ამათ დღიდან დიდი რევოლიუციისა თავი წამოყვეს და პროლეტარულ კლასების გათიშვას ხელს უწყობენ.

მათ მთელ თავიანთ შოვინისტურ მოქმედებას ფართო სამოქმედო ასპარეზი დაუთმეს; ერთაშორის სოლიდარობის მაგიერ ერთა გათავთავება-გაცალკევების აგიტაცია დაიწყეს და როგორც ვხედავთ, კონტრ-რევოლიუციონურმა აგიტაციამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო და სხვა და სხვა ერებ შორის დამოკიდებულება თან და თან გამწვავებული ხდება.

ამის დასამტკიცებელი საბუთები უამრავია. განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში, სადაც მრავალი წვრილი ერები ერთმანეთში არეული არიან და ერთმანეთზე კბილებს ილესავენ.

ჯერ იყო და არზრუმში პროვოკაციის მეოხებით თათრების აწიოკება მოხდა. ეს ამბავი კაპიტანმა სტრელკოვსკიმ საქვეყნოთ აღნიშნა და მას პროვოკაციის ნაყოფი უწოდა. რასაკვირველია კაპიტანის ასეთი სამართლიანი განცხადება ზოგიერთა ერების ნაციონალისტურ პარტიებს სრულიათ არ მოეწონათ და სტრელეცკის ასეთ შეხედულებას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. მაგრამ ნაციონალისტების კონტრ-რევოლიუციონური აგიტაცია ამით არ თავდება. უკანასკნელები ფარულათ და აშკარათ მოღვაწეობენ და მით საერთო რევოლიუციონურ საქმის გაღრმავებას, სხვა და სხვა ერების რევოლიუციონურ კლასების შეკავშირებას ხელს უშლიან.

ქუთაისის პარტიული ორგანო „სოციალ-დემოკრატი" მეტათ სამწუხარო ცნობას გადმოგვცემს. 18 მაისს ქუთაისში ჩამოსულან სომხები და მაჰმადიანები, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთაგან და ჯარისკაცებისაგან იარაღს იძენდენ. საბჭოსაგან ნდობით აღჭურვილმა უფროსმა ჯარისკაცმა წაიყვანა ამხანაგები იმ ბინების გასაჩხრეკათ, სადაც იარაღის გამყიდველები იმყოფებოდენ. გაჩხრიკეს რამდენიმე სასტუმრო და ერთ-ერთ სასტუმროდან ჯარისკაცებს სროლა აუტეხეს. ამის შემდეგ სხვა სასტუმროებიც გაჩხრიკეს და ყველგან მრავალი იარაღი აღმოაჩინეს. დააპატიმრეს ათამდე იარაღის მყიდველები.

ფაქტი აშკარაა. სხვადასხვა ერის შოვინისტები იარაღდებიან, ამას ისინი აღარ ფარავენ, სიტყვით და საქმით მოქმედებენ. თვით „სახალხო ფურცლის" ფსევდო-სოციალისტები გაზეთის უკანასკნელ ნომერში თავიანთ მკითხველებს ეროვნულ ბრძოლისაკენ მოუწოდებენ და მით აშკარათ გმობენ საერთო რევოლიუციონურ მოქმედებას.

თავისთავად საგულისხმოა ამიერ კავკასიის ნაციონალისტები და მათ ქურქში გახვეული ცრუ სოციალისტები დიდ რევოლიუციას მხოლოდ აფერხებენ. მათი სამოქმედო დროშა, მათი დღიური ლოზუნგები მუდამ და ყოველთვის ხალხის გათიშვა გაცალკევებისაკენ არის მიმართული.

წვრილ ერების ნაციონალისტებს თითქმის ყველა რევოლიუციის დროს კონტრ-რევოლიუციონური როლი უთამაშია. გაიხსენეთ 1905 წლის თათარ-სომეხთა შეტაკება. გავიხსენოთ ავსტრიის 1848 წ. რევოლიუცია, როცა სლოვიანთა სხვადასხვა ერებმა ავსტრიის დინასტიას მხარი დაუჭირა და გერმანიისა და მადიარების დემოკრატიას შეებრძოლა... სლოვიანებს—განსაკუთრებით ჩეხებმა, იმის მაგიერ, რომ დემოკრატიისათვის მხარი დაეჭირათ და იმათთან ერთათ დესპოტიზმი დაემხოთ, მადიარების ხალხზე შური იძიეს, მათ წინააღმდეგ ავსტრიის ჯართან ერთად გამოვიდენ და ამ გზით რევოლიუცია დაასამარეს.

სწორეთ ასეთ პირობებში საერთაშორისო და ერთა ნამდვილი თავისუფლების საუკეთესო მოციქული, კარლ მარქსი, ჩეხების შოვინისტებს სასტიკათ გმობს და მათ წალეკას უქადის. დიახ ასეთსავე ნიშნებს ვხედავთ დღეს ამიერ კავკასიაში. დღეს აქ რევოლიუციას საფრთხე ნაციონალისტ-შოვინისტებიდან მოელის. და ამიტომ კავკასიის სოციალ-დემოკრატების მთავარი ძალა მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. მთელ დემოკრატიის და საზოგადოთ რევოლიუციონურ კლასების მტერი ნაციონალისტ-შოვინისტები

იყვენ. ჩვენ ხალხს უნდა დავუმტკიცოთ, რომ თავისუფლება, იქნება ეს პოლიტიკური, ნაციონალური, მხოლოდ საერთოთ რუსეთის იმპერიის დემოკრატიულ კლასების ორგანიზაციულათ გამოსვლა-გათვითცნობიერებას შეუძლიან მოიპოვოს, ხოლო ნაციონალისტების მოქმედებას კონტრ-რევოლიუცია და მით ყოველგვარი თავისუფლების მოსპობა მოყვება. ამიტომ მორიგი საკითხია ბრძოლა ნაციონალისტების წინაამდეგ, აი, აქ უნდა იქნას მთელი ჩვენი ძალა მიმართული.

# პრესა.

„სახალხო ფურცელი“ დაუბრუნდა თავის ძველ და ერთათერთ თემას ეროვნულ საკითხს და არკვევს მას დღევანდელ მომენტის მიხედვით.

მან იცის რომ:

„დიდ სახელმწიფოებს პატარა ერის ბედი იმდენათ აინტერესებს, რამდენათ პატარა ერი მათ „გავლენის ფარგალშია“.

და სწუხს რა იმპერიალისტურ ბურჟუაზიის უსამართლობაზე, კითხულობს:

„რა ცვლილება შეაქვს ამ მდგომარეობაში რუსეთის რევოლიუციას? ალაგმავს თუ არა რევოლიუცია რუსის იმპერიალისტებს, მოუტანს თუ არა თავისუფლებას, დამოუკიდებლობას რუსეთში მცხოვრებ პატარა ერებს?...

გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ პატარა ერების თვითარსებობის დაცვა რუსეთში მოხდება უბრძოლველად, უტკივილოდ. გარეშე ერების დამორჩილების წყურვილი ძლიერია არა მარტო რუსის ბურჟუაზიულ წრეებში, სხვისი გარუსების მოწინაამდეგე არც დემოკრატიული მასსაა (ხაზ. ჩვენია), რომელიც ჯერ ვერ განთავისუფლებულა ბურჟუაზიულ დაპყრობითი სულისკვეთებისაგან... ამიტომ პატარა ერებს წინ დიდი ბრძოლა და წინაამდეგობა მოგველის, დიდი თავდადებული, სისტემატიური და შეთანხმებული მუშაობა გვჭირია, რომ შევინარჩუნოთ თვითარსებობა, მოვიპოვოთ ეროვნული თავისუფლება...“.

მაშ ასე, ეროვნული ბრძოლა მთელი რუსის ერის წინააღმდეგ, მის როგორც გაბატონებულ ესე დამონებულ დემოკრატიულ კლასებს, აი ლოზუნგი ჩვენი „გასოციალისტებულ“ ნაციონალისტების. რა არის ეს, თუ არა რევოლიუციურ ძალთა გათიშვა? რას მოასწავებს ეს თუ არა თავის კუთხის, მეტს ვიტყვი, რეაქციონურ ინტერესების უფრო მაღლა დაყენებას საერთო, მთელი რუსეთის დემოკრატიის ინტერესებზე?

ჩვენ არასოდეს არ გვქონდა რწმენა და იმედი იმ რადიკალურ ფრაზეოლოგიის, რომელსაც უხვათ ხარჯავდა თავის კონფერენციაზე ამ „უებრო რაინდების“ პარტია. მარა ალბა თვითონაც აიხადეს ნიღაბი და საკუთარი სახით მოგვევლინენ, როგორც ეროვნულ ბრძოლის და ეროვნულ ურთიერთობის გამწვავების მქადაგებელნი და ჩვენც გვირჩევნია პირბადე ახდილი მოწინააღმდეგე, ვინემ სხვის ქურქში გახვეული. ამიერიდან მაინც ყველას ეცოდინება, რომ თქვენი სიტყვა ხალხთა სოლიდარობაზე, დემოკრატიის საერთო ინტერესებზე და სხვ. ისეთივე სიყალბეა, როგორც თქვენი „სოციალისტური“ რეზოლიუციები, კონფერენციაზე მიღებული.

* * *

ჩვენ ბოლშევიკებსაც აქვთ ერთი თავსატეხი საგანი—ესაა რუსეთის ბურჟუაზიის რეაქციონერობა. ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონურია—იძახიან ეს ბრძენი პოლიტიკოსები უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში. ამ ხანში ბურჟუაზიამ არა ერთხელ იცვალა ფერი. მარა ჩვენი ბოლშევიკებისთვის „всѣ кошки сѣры“, სულ ერთია, რაკა ბურჟუაზიაა, უნდა მაინც რეაქციონერათ დასახო. მათ მეტათ სასიხარულო და საამო მოვლენათაც კი მიაჩნიათ, რომ ბურჟუაზია ასეთი რეაქციონური სულის მატარებელია.

ამას წინეთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბურჟუაზია რევოლიუციის ტალღის მაღლა აწევასთან ერთათ თანდათან ემორჩილება მას და რეაქციისკენ ექანება. ეს ასეც უნდა იყოს და ჩვენ შეხედულებას სავსებით ეთანხმება. ბოლშევიკები კი სიხარულით ცას სწვდებიან: დახეთ მენშევიკებიც ჩვენ აზრს ადგებიანო.

ჩვენ ცხოვრების მსვლელობას მივსდევთ, რევოლიუციის თვითეულ საფეხურს ვახასიათებთ და ვამბობთ, რევოლიუცია ახალ საფეხურზე ავიდა, მისმა ტალღებმა მაღლა აიწია, ხოლო ბურჟუაზია ამ ტალღებს ვერ აყვა და უკან-უკან იხევსო, აბა ერთი მიბრძანეთ რა არის ამაში ბოლშევიკური? ხვალ შეიძლება კიდევ სხვა სოციალური ელემენტებიც ჩამოგვშორდეს და ჩვენ ამასაც ანგარიშს გავუწევთ. ბოლშევიკებმა კი მუდამ თუთიყუშივით უნდა იძეორონ გაზეპირებული ფრაზები: ბურჟუაზია მოღალატეაო და სხვ. მკითხველი აშკარათ დაინახავს, რომ ეს მხოლოდ კრიტიკანობაა და არა მოფიქრებული კრიტიკა.

შემდეგ „კავკაზსკი რაბოჩი“ გვიკიჟინებს, რომ ჩვენ კლასობრივ ბრძოლას თურმე არ ვაწარმოებთ: საბუთი?.. ეს ჩვენი გაზეთის სათაურია: „ერთობა“. ეს თურმე ნიშნავს ბურჟუაზიასთან ერთობას და არა მუშათა კლასისას! გაზეთი გვირჩევს „სიტყვიერი შეურიგებლობა გამოვიჩინოთ“, ესე იგი რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით ვაწარმოვოთ კლასობრივი ბრძოლა.

გმადლობთ ამხანაგებო! მაგრამ ჩვენ საქმით კლასთა ბრძოლის წარმოება გვირჩევნია. ფრაზების რახარუხი კი თქვენთვის დაგვილოცნია. არ შეგეცილებით.

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 18—20 მაისი.)

### აფიცერთა ყრილობა.

**პეტროგრადი.** დღევანდელ კრებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯარისკაც ლოპუხოვსკის სიტყვამ, „ფრონტზე არეულობამ საშიში ხასიათი მიიღო. ქვეითი ჯარი ტელეფონის მავთულებს სჭრის, რომლითაც შეერთებულია თავის საარტილერიო ბატარეიასთან, იმუქრებიან არტილერიას თავს დაესხმითო და აცხადებენ, რომ ერთი თვის მეტს ფრონტზე არ გაჩერდებიან და სახლებში წავლენ. ელისავეტგრადის პოლკის კომიტეტმა შეიმუშავა ფიცის ტექსტი, რომელიც ჯარისკაცებს წაუკითხეს. ყველა ჯარისკაცი დათანხმდა ხელი მოეწერა. კომიტეტს არ უნდოდა თავზე მოეხვია ჯარისკაცებისთვის ასეთი ნაუცბათევი გადაწყვეტილება და ერთი დღე ღამე მისცა ვადა მოეფიქრებინათ და კარგათ გაეთვალისწინებინათ ყველაფერი, თანაც დასძინა ის, ვინც ხელს არ მოაწერს ფიცს ამხანაგებისგან არავითარ საყვედურს არ მიიღებს, ისიც ისეთივე სინდისიერი და პატიოსანი იქნება როგორც სხვები და საჭიროების დროს ზურგს უკან გაგზავნიანო. ხოლო უკეთუ ვინც ხელს მოაწერს ფიცს და მას გასტეხს ბრძოლის დროს იქვე მოვკლავთო. დანიშნულ ვადაზე პოლკის კომიტეტმა მიიღო ქაღალდი, რომელზედაც პოლკის ყველა აფიცრებს და ჯარისკაცებს მოეწერათ ხელი.

### სოციალისტებს პასპორტებს ჯერ არ აძლევენ.

**პარიზი.** პარლამენტის წრეებში უსიამოვნებას იწვევს ის გარემოება, რომ მთავრობა ჯერ პასპორტებს არ აძლევს სტოკჰოლმის კონფერენციაზე წამსვლელ სოციალისტებს.

### ნემეცი სოციალისტები.

**სტოკჰოლმი.** გერმანიის ს.-დემოკრატიის უმრავლესობის დელეგატებს (21 მაისს) კვირას ელოდენ სტოკჰოლმში. დამოუკიდებელ ს. დემოკრატიულ პარტიის დელეგატები 27 მაისს მოვლენ. პასპორტების საქმე მოაწესრიგეს.

### ფიზიკურ დასჯის მოსპობა.

**პეტროგრადი.** დროებ. მთავრობამ დაადგინა—მოისპოს ფიზიკური დასჯა, გაწკეპლა და დამამშვიდებელ პერანგის ჩაცმა.

### სოციალისტთა ინტერპელიაცია.

**პარიზი.** საფრანგეთის სოციალისტების ინტერპელიაცია შეაქვთ პალატაში და რომ პალატის უმრავლესობა მიიმხრონ უნდათ შემდეგი არგუმენტები წამოაყენონ: მათი აზრით საფრანგეთს არავითარი საბუთი არა აქვს იფიქროს, რომ რუსეთი გერმანიასთან ზავს ჩამოაგდებს. წინააღმდეგ ის გზა, რომელიც რუსებმა აირჩიეს რევოლიუციის შედ-იღბლის დასახსნელათ ღირსია რევოლიუციონურ საფრანგეთის ნდობა დაიმსახუროს. საფრანგეთს, რომელიც ამდენხანს მეფის რუსეთს მხარს უჭერდა, არ შეუძლია ეხლა რევოლიუციონურ რუსეთს გვერდში არ ამოუდგეს. უნდა დავარწმუნოთ რუსეთი, რომ ომი იმპერიალისტურ მიზნისთვის არ წარმოებს.

### დელეგატების გაგზავნა.

**პეტროგრადი** პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა კრონშტადტში გაგზავნა დელეგატები ჩხეიძე და აღმასრულებელ კომიტეტის ოთხი სხვა წევრი, რომ გამოარკვიონ იქაური მდგომარეობა.

### კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი.

სახალხო განათლების მინისტრმა დროებით მთავრობას წარუდგინა წინადადება—დაარსდეს კავკასიაში ისტორია-არქეოლოგიური ინსტიტუტი კავკასიაში მცხოვრებ ერების, ენების და ზნე ჩვეულების შესასწავლათ.

### ჰოლანდია-სკანდინავიის კომიტეტის და უნგრეთის სოციალისტთა თათბირი.

**სტოკჰოლმი.** ჰოლანდია-სკანდინავიის კომიტეტმა თათბირი გამართა უნგრეთის სოციალისტ დელეგატებთან. მათ განაცხადეს, რომ უნგრეთის ს. დემოკრატია მოითხოვს დაუყონებლივ მოხდეს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი და ყველა შეერთებული ქვეყნები აღდგენილ იქნენ, გავერანებული ქვეყნების ეკონომიურათ აღდგენა დაევალოს იმ სახელმწიფოს, რომლის გავლენის ქვეშაც იქნება ის, ცოტაოდენი გამონაკლისით, მაგ. ბელგია გერმანიამ უნდა აღადგინოს ჱ უკეთუ ეს ომის გაგრძელებას გამოიწვევს ყველა მებრძოლ სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ ბელგიის აღდგენა. სერბიას ყველა სახელმწიფოები უნდა დაეხმარონ და გზა მისცენ ზღვისკენ. ელზას-ლოტარინგიის შესახებ გერმანიის და საფრანგეთის ს. დემოკრატები უნდა შეთანხმდენ, რადგანაც ასეთ შეთანხმებაზეა დამოკიდებული ხანგრძლივი მშვიდობიანობა. ასეთსავე გზას უნდა დაადგეს სერბიის და ბულგარეთის ს.-დემოკრატია მაკედონიის შემოერთების საკითხში პოლონეთის შესახებ დელეგაცია იმ აზრის არის, რომ პოლონეთის ყველა ოლქები შეერთდეს ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ავსტრო უნგრეთის ნაციონალური საკითხი ნაციონალურ ავტონომიით უნდა გადასწყდეს. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი ჰგულისხმობს აგრეთვე დაჭერილ ახალშენების დაბრუნებას. შემდეგ უნგრეთის ს. დემოკრატია სურვილს აცხადებს მომავალი ზავი დამყარებული იქნას მკვიდრ ნიადაგზე, ყოველივე სადაო კითხვა სამედიატორო სასამართლომ გადასწყვიტოს და მოხდეს საყოველთაო იარაღის აყრა. ყველა ს.-დემოკრატების ვალია პარიზის 1916 წლის კონფერენციის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადოს. ყველა ქვეყნის ხალხს მშვიდობიანობა სწყურია და ომის პასუხისმგებლები ხოლოდ მთავრობები არიან. ომის გამომწვევი მიზეზები შემთხვევითი არ იყო, არამედ ის მიზეზები, რომლებსაც იწვევს მუდმივი სოციალური და ნაციონალური გაყვლეფა დაჩაგვრა. დელეგაცია მხარს უჭერს ვენგრიის სრულ დემოკრატიზაციას და სურვილს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის ამხანაგები შეებრძოლონ შოვინისტურ იდეოლოგს, ხოლო გერმანელმა სოც.-დემოკრატებმა უნდა იბრძოლონ საყოველთაო საარჩევნო უფლების და პარლამენტარულ სისტემის შემოღებისთვის.

### დეკლარაცია აგრარულ საკითხის შესახებ.

**პეტროგრადი.** მიწის მთავარმა კომიტეტმა აგრარულ საკითხის შესახებ შემდეგი დეკლარაცია მიიღო: „მიწის საკითხის წესიერათ გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში უკეთუ მას საფუძვლათ დაედება საერთო სახელმწიფოებრივი გეგმა, რომელსაც საზეში ექნება მთელი ხალხის ინტერესები და არა კერძო ჯგუფების. მიწების საჭიროების თვის თავათ დამყოფილება, სახელმწიფოსთვის სახიფათოა, ამ საკითხის მოსაწესრიგებლათ და საჭირო რეფორმების შესამუშავებლათ, მიწების საქმეების გამგეობა უნდა დაევალოს ადგილობრივ მიწის კომიტეტებს. საჭიროა დროებითმა მთავრობამ დეკლარაცია გამოსცეს, რომ ადგილობრივ შესდგეს მიწის კომიტეტები.

### მინისტრ კონოვალოვის გადადგომა.

**პეტროგრადი.** გუშინ ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა გაუგზავნა მინისტრ-თავმჯდომარე თავ. ლვოვს განცხადება, რომლითაც თხოულობს გაანთავისუფლოს თანამდებობიდან, რადგან მდგომარეობა ფრიად გამწვავდა და ამ პირობებში მუშაობა მას არ შეუძლია. იმავე საღამოს კონოვალოვთან ღამის 11 საათზე მივიდა მინისტრი ტერეშჩენკო და ორ საათზე თავადი ლვოვი. ორივემ დიდი ჯითებით სთხოვა დარჩენილიყო. კონოვალოვმა მტკიცე უარი განაცხადა, რადგან მას არ შეუძლია ის პოლიტიკა გაატაროს ცხოვრებაში, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობაში ახალმა მიმდინარეობამ წამოაყენა. 19 მაისს დილისით ლვოვის წინადადებით კონოვალოვის ბინაზე თავი მოიყარეს დროებით მთავრობის ყველა წევრებმა. თავ. ლვოვმა მთელი მთავრობის სახელით სთხოვა კონოვალოვს დარჩეს თავის ადგილზე, მისი წასვლა გარდა იმისა, რომ არა სასურველია, შეიძლება ისე ახსნან, თითქოს დროებითი მთავრობა და ბურჟუაზია ვერ მორიგებულიყოს. კონოვალოვმა უპასუხა, რომ ის ხედავს თუ რა სერიოზული მომენტია, მაგრამ სწორეთ ამისთვის ანებებს ის თავს. მას არ შეუძლია მთავრობაში მონაწილეობა მიიღოს, თუ კი არა სწამს რომ მიღებული ზომები კრიზისს აგვაცდენს. კრიზისის აცდენა შეიძლება მხოლოდ უკეთუ მთავრობა სრულ ძალაუფლებას გამოიჩენს და დარღვეულ დისციპლინას აღადგენს. ის ამას არ ხედავს და ამიტომ საჭიროთ სთვლის ჩამოშორდეს გზიდან და ფიქრობს, რომ საჭიროა კიდევ ერთი რევოლიუციონურ ნაბიჯის გადადგმა, საჭიროა ერთიანი სოციალისტური სამინისტროს შედგენა. ამ მოსაზრებით მან გადასწყვიტა წასვლა და ეს მისი გადაწყვეტილება შეურყეველია.

### დამფუძნებელ კრების არჩევნების პროექტი.

**პეტროგრადი.** იურიდიულმა თათბირმა შეიმუშავა დამფუძნებელ კრების არჩევნების პროექტი. წევრებს ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, პროპორციონალურ სისტემით საარჩევნო უფლება რუსეთის ყველა მოქალაქეს, რომელიც 20 წლისაზე ნაკლები არ იქნება. საარჩევნო ოლქი იქნება გუბერნია; ოლქები უბნებათ იყოფა. არჩევა შეუძლიად მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც საარჩევნო სიაში იქნებიან შეტანილი. არჩევა შეიძლება იმ პირის, რომელიც მთელი სახელმწიფოს რომელიმე საუბნო საარჩევნო სიაში იქნება შეტანილი.

### ავსტრიის იმპერატორის სეფე სიტყვა.

18 მაისს ავსტრიის იმპერატორმა კარლოსმა მიიწვია ორივე პალატა და სეფე სიტყვა წარმოსთქვა: მე დამჯითებით მოვითხოვ ძირითად კანონების დებულების შესრულებას, რომლითაც ზავის ჩამოგდების ამ დიდებულ დროს ამ საკითხის გადაწყვეტა სავსებით მხოლოდ მე მეკუთვნის, სთქვა მან. დანარჩენ თავის სიტყვაში ის შეეხო საზოგადო მდგომარეობას და სხვათა შორის სთქვა, რომ შეღავათს მისცემს ავსტრიაში მრავალს ცალკე ეროვნებებს და ყველგან კონსტიტუციას განამტკიცებს.

### შრომის სამინისტროს კანონპროექტი.

**პეტროგრადი.** ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგმა სახ. დუმის წევრთა თათბირზე აღნიშნა მწარმოებელთა და მუშათა ერთი მეორეს საწინააღმდეგო მოთხოვნების შეუთანხმებლობა. ორივე მხარემ გამოგზავნა წარმომადგენელი პეტროგრადში და როგორც მოლაპარაკებიდან გამოირკვა მათი შეთანხმება შეუძლებელია.

### მიწათ მფლობელთა ყრილობა.

**სარატოვი.** მიწათ მფლობელთა ყრილობამ უარყო სოციალისტების აგრარული პროგრამა კერძო მიწების უფასოთ ჩამორთმევის შესახებ. ყრილობის ბევრმა მონაწილემ განაცხადა, რომ მათ ძალა ჩამოართვეს მიწები და თან იარაღებიც გამოართვეს, რომ თითქო თანხმობით გადასცენ მიწები. ორატორები უარს ყოფენ მინისტრ ჩერნოვის განკარგულებას—შესწყდეს მიწების ყიდვა გაყიდვის საქმე. ერთი ორატორთაგანი თავის სიტყვას ასე ათავებს: „მოგესალმებით თქვენ გაღატაკებულნო“! გადასწყვიტეს შეადგინონ მესაკუთრეთა საბჭო სოციალისტებთან საბრძოლველათ.

### ფრანგ დეპუტატების წინადადება.

**პარიზი.** მემარცხენე დეპუტატებმა გადასწყვიტეს მოსთხოვონ მთავრობას კატეგორიულათ გამოაცხადოს ომის მიზანი.

### რიბოს სიტყვა.

**პარიზი.** საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში რიბომ განაცხადა, რომ ახლო მომავალში გამოაქვეყნებენ ყველა იმ დოკუმენტებს, რომლებიც რუსეთსა და საფრანგეთ შორის დადებულ ხელშეკრულობას შეეხება. შემდეგ მინისტრი ეხება გაფიცვებს და ამბობს, რომ ის გარეშე პირების საქმეა და ამიტომ მთავრობა ეცდება უცხოეთელმა პირებმა წესიერება არ დაარღვიონ.

### არმიის და ფლოტის აფიცერთა კავშირის ყრილობა.

**მთავარ სარდლის ბანაკი.** არმიის და ფლოტის აფიცერთა კავშირის ყრილობაზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც აღნიშნავენ, რომ ჯარში უწესრიგობა ფართე ხასიათს ღებულობს, მცხოვრებთა უმრავლესობასა და ჯარისკაცებში დაიბადა ომის შეწყვეტის მიმდინარეობა, რაიცა სახელმწიფოსთვის ფრიად მავნებელია, ამიტომ ყრილობა დაბეჯითებით მოითხოვს სრულ ომის გაგრძელებას მანამდე, სანამ შესაძლებელი არ იქნება საპატიო ზავის ჩამოგდება, იმ პირობით, რომ მოწინააღმდეგემ უნდა დააბრუნოს წაღებული ადგილები და აღებული კონტრიბუცია—ამასთანავე უნდა აღადგინოს მის მიერ განადგურებული ქვეყნები. რუსეთს უნდა ჰქონდეს ხმელთა შუა ზღვისკენ თავისუფალი გზა. ომის პირობების საბოლოოდ შემუშავება, მთავრობის საქმეა, ხოლო ჯარის საქმეა სრულ გამარჯვებამდე ომის მიყვანა. საჭიროა სრული ძალა უფლებით აღჭურვილი მთავრობა, რომელიც უნდა უბრძანებდეს და არა სთხოვდეს, რომელიც მთელი ქვეყნის სრული ნდობით იყოს აღჭურვილი და მტკიცე ნიადაგი ჰქონდეს. საჭიროა უფროსი, რომელსაც ეს მთავრობა მხარს დაუჭერს. საჭიროა რკინის დისციპლინა. ჯარისადმი ყველა განკარგულება უნდა გამოდიოდეს მთელი რუსეთის წინაშე პასუხის მცემელ პირებისგან და შესრულებულ იქნას მხოლოდ სამხედრო უფროსების მიერ, და ნება არ მისცენ ჯარის კომიტეტებს შინაურ საქმეში ჩაერიონ. ჯარის კაცთა უფლების დეკლარაციას უნდა მიემატოს მათ მოვალეობათა დეკლარაცია და თვითეულ უფროსის უფლება მოვალეობა. არ შეიძლება უფროსების ქვევიდან არჩევის პრინციპის განხორციელება.

### ქარხნის დაკეტვა.

**ნიკოლაევი.** მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს კრებაზე გემების სამშენებლო ქარხნის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ქარხანა ჩქარა დაიხუროს, რადგან შეკვეთა შემცირდა და სახელმწიფო კონტროლიორმა უარი სთქვა თვითეულ ახლად აშენებულ ნაღმოსანზე მიუმატონ 800 ათასი მან. მდგომარეობის გამოსარკვევათ შესდგა სპეციალური კომისია. ქარხანაში 23 ათასი მუშა მუშაობს.

### პირველი ახალი სასამართლო.

**მოსკოვი.** მოხდა კრება პირველ პარტიათა შორის სინდისის სასამართლოსი, პროვოკატორთა საქმის გასარჩევათ. გაარჩიეს გაზეთ „რანნე უტრო“-ს თანამშრომლის ბოროვიკოვის საქმე, სასამართლომ დაადგინა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ჩამოართვას ბოროვიკოვს უფლება მონაწილეობა მიიღოს რამე პარტიასა, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში და საარჩევნო უფლება როგორც აქტიური ისე პასიური. სასამართლომ შესაძლებლად სცნო მისი განთავისუფლება.

### რიბოს განცხადება.

**პარიზი.** 19 მაისი. დეპუტატთა პალატაში სოციალისტების მიერ პასპორტების მიღების შესახებ რიბომ განაცხადა, რომ სოციალისტებს, რომლებიც პეტროგრადს მიდიან, პასპორტების მიცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დელეგატები სტოკჰოლმის კონფერენციის კრების გათავების შემდეგ დაბრუნდებიან და მოწინააღმდეგე სახელმწიფოების აგენტებს არ შეხვდებიან.

# ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** 22 მაისი. დასავლეთის ასპარეზზე, კოველის მიმართულებით, მოსორის რაიონში ჩვენი მზვერავები მტრის საყარაულოს თავს დაესხა და იქ მყოფი ჯარი გაფანტეს, კარპატებში, პნევებთან მტრის სანგრებში შევიჭრით და ერთი ტყვის მეტი ქვეველი წამოვიღეთ. ამ შეტაკების დროს სასიკვდილოთ დაიჭრა პორუჩიკი ოდინცოვი. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ნოდელის ტბის რაიონში გერმანელების ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**პარიზი.** 21 მაისი. ვოკლერსის მაღლობებთან გერმანელებმა ფართო იერიშების მოტანა დაიწყეს. იერიშები მოვიგერიეთ. იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე კალიფორნიის მაღლობებში. კალიფორნიის მიღლობას აღმოსავლეთ პოზიციებზე იერიშების მოტანა გერმანელებმა დილით კვლავ დაიწყეს და ერთი ჩვენი სანგარი დაიკავეს. მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული სანგარი დავიბრუნეთ. აქ მთელი პოზიციები შევინარჩუნეთ. დანარჩენ ფრონზე საარტილერიო სროლაა.

ბალკანეთში, ლიუბნიცის რაიონში მოწინავე რაზმები იბრძვიან. დანარჩენ ფრონტზე საჰაეროპლანო და საარტილერიო ბრძოლაა.

**ლონდონი.** საფრანგეთის ფრონტზე, სუშეს სამხრეთით მტრის პოზიციებზე იერიშები მივიტანეთ და წინ წავიწიეთ. აქედან მრავალი ტყვეები წამოვიყვანეთ. შერიზის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა იერიშები მოიტანა და ჩვენი სანგრების პირველი წყება დაიკავა. გერმანელებმა საარტილერიო სროლა განაცხოველეს ბიულეკურას რაიონში.

# ახალი ამბები

✦ **ჩხენკელმა** დაგზავნა ყველა ამიერ კავკ. აღმასრულებელ კომიტეტებში შინაგან მინისტრისაგან მიღებული შემდეგი შინაარსის დეპეშა: სამინისტროში მოდის ცნობები ზოგიერთი თვითნებობის შესახებ. ატყვევებენ და ჩხრეკენ სხვადასხვა უწყების პირებს, სამსახურიდან ითხოვენ ქარხნის გამგეებს, ძალადობას ხმარობენ კერძო პირებზე, ბევრი თვითნებობით შემდგარი ორგანიზაციები ისაკუთრებენ მთავრობის სახელს და ამნაირათ ერთი საზოგადოების ნაწილს მეორე საზოგადოების წინააღმდეგ ამხედრებენ. ასეთი შემთხვევები არა კანონიერი და ზოგიერთ შემთხვევაში ანარქიულია, რაიც ძირს უთხრის ახალ მთავრობას. ამიტომ საჭიროა ენერგიული ბრძოლა ამგვარ არა სასურველ მოვლენასთან. ეს მიზნათ უნდა დაისახოს ადგილობრივმა მთავრობებმა და შეგნებულმა პირებმა.

✦ **ჯიბგირები** ამ ბოლო დროს ძლიერ გამრავლდენ. ამხ. რაფ. რამიშვილს, რომელიც ეხლა ჩამოვიდა ციმბირიდან, თფილისის ვაგზალზე ჯიბგირებმა 600 მანეთი ამოაცალეს ჯიბიდან.

✦ სასამართლოს უწყების პირებმა, რომელნიც უნდა დათხოვნილ ყოფილიყვნენ თფილისის ადვოკატურის დადგენილებით, თვითონ განებეს სამსახურს თავი.

✦ **განჯის გუბერნიაში** დღიდან რევოლიუციის დაწყებისა ყველაფერი ბეგებს ჰქონიათ ხელში ჩაგდებული. ერთ ადგილობრივ მასწავლებელს ამის წინააღმდეგ გაულაშქრია, მაგრამ ბეგებს იგი მალე აულაგმავთ და არ მიუციათ საშუალება ხალხისთვის სიმართლე ეთქვა. საშინელ პირობებში იყვენ ჩავარდნილი გლეხები, თვითმპყრობლობაზე უარესი დღე დაუდგათ. ჩასულმა პროპაგანდისტებმა საქმე მოაგვარეს და გლეხებმაც ორგანიზაციების მოწყობა იწყეს.

✦ **სოფ. მეჯვრისხევიდან** სოფ. კარალეთამდე გზაში ვიპოვნე საფულე ფულებით (პორტმანი). დამკარგველმა მოიკითხოს სოფ. მეჯვრისხევის აღმ. კომიტეტში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა ორი კვირის განმავლობაში.

✦ საგუბერნიო ნაწილის გამგეობამ თხოვნით მიმართა დეპუტატების საბჭოს, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს მას საქონლის ჭირის მოსპობაში. გლეხები არ ენდობიან ბეითლების მოსაჩენ საშუალებებს და ზოგს შემთხვევაში წინააღმდეგობას უწევენ ბეითლებს.

✦ 20 მაისს მთავარ ფოსტის შენობაში თ. კიკვაძემ წაიკითხა ლექცია: მიმდინარე მომენტზე. მსმენელთა რიცხვი მრავალი იყო. გამოიტანეს რეზოლიუცია, ნდობას უცხადებენ დროებით მთავრობას, რამდენათაც ის შეასრულებს დემოკრატიის სურვილს.

✦ ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა ცენტრალურ ფოსტის კონტორის და განყოფილების მსახურთაგან მიიღო ამნისტიით განთავისუფლებულ პოლიტიკურებისთვის 47 მ. 45 კ. რევოლიუციის მიერ დაზარალებულ ოჯახთა სასარგებლოთ 168 მ. 45 კ.

✦ **ახალი გიმნაზია.** ნაძალადევში გაიხსნა ახალი გიმნაზია ა. ს. ბილანიშვილისა ორთავე სქესის ბავშვებისათვის.

✦ პოლიტიკური გადასახლებული ლუკა ლაზარისძე ანდღულაძე, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა ციმბირიდან, 20 მაისს, ღამის 12 საათზე, მიემგზავრებოდა ბათუმისაკენ. ვაგონში შესვლის დროს აუწერელი ჭედვა იყო ხალხში, ამით ისარგებლა ჯიბგირებმა და ამოაცალეს ჯიბიდან 245 მან. ფული და სხვა და სხვა კვიტანციები.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე დანიშნულია რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა მიმდინარე საკითხების განსახილველათ.

— 24 მაისს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ცენტრალურ პროფესიონალურ ორგანიზაციის სხდომა. პროფესიონალურ ორგანიზაციის შენობაში, პეტრე დიდის ქ. № 18.

— პროპაგანდისტების კურსებზე შემდეგი ლექციებია დანიშნული: (ლექციები იწყება საღამოს 7 ნახევარ საათზე მესამე საქალებო გიმნაზიაში).

— 24 მაისს დანიშნულია აზატიანის ლექცია აგრარულ საკითხზე.

— 24 მაისს მოხდება პირველი რაიონის კრება ნაძალადევის თეატრში საღამოს ექვს საათზე.

— 24 მაისს მოხდება ქალთა კრება ბელგიის ქუჩაზე, № 8 საღამოს 8 საათზე. თემა: ქალთა კითხვა.

— 26 მაისს ვენიკეევსკის ლექცია, პროფესიონალურ მოძრაობაზე.

— 27 მაისს აზატიანის ლექცია, ქალთა საკითხზე.

— 28 მაისს თუმანოვის ლექცია, აგრარულ საკითხზე.

— 30 მაისს იშკოვის ლექცია მუშათა მოძრაობის ისტორია რუსეთში.

— 31 მაისს რუსიას ლექცია, რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები და დროებითი მთავრობა.

— კრება თფილისის აფთიაქებში მოსამსახურეების. დღეს, საღამოს 9 საათზე კავკასიის საექიმო დარბაზში, შესდგება პირველი ლექცია, კითხულობს ამხანაგი ვ. ჯუღელი. პრეზიდიუმი თხოვს ამხანაგებს დაესწრონ ლექციას.

— **ქართველ სტუდენტთა კონფერენციისათვის.** ქართველ სტუდენტთა კონფერენციის მოწვევის კომისიამ კონფერენციის იდეიური და ტეხნიკური მხარეები სავსებით გამოიმუშავა, მაგრამ უკანასკნელ კრებაზე ფრიად საყურადღებო საკითხი წამოდგა, რომლის გადაწყვეტა კომისიამ ვერ იკისრა,—და ამისათვის ყველა ქართველ სტუდენტ ქალთა და ვაჟთ სთხოვს, მობრძანდენ საერთო კრებაზე დღეს, ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე, ოლღას ქ. № 52.

## პროვინციის ქრონიკა.

**დ. ხობი.** 3 მაისს აქ შესდგა მთელი რაიონის (8 სოფლის) კომიტეტთა კრება. კრების მიზანი იყო სარაიონო კომიტეტის და პრეზიდიუმის არჩევა. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ერთხმად ამხ. ბეკო ნარაკიძე. მდივნათ ამხ. ესტატე ლატარია, კრებამ დაფარული კენჭის ყრით ამოირჩია სარაიონო კომიტეტში 22 კაცი. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ერთხმათ იყვენ არჩეულნი. პრეზიდიუმში აირჩიეს: თავმჯდომარეთ თენგიზ კორტავა. ამხანაგებათ ისლამ დოლბანიძე და ბოკო ცხომრია. მდივნათ ილიკო მატახერია. არჩევნები ღამის 12 საათზე გათავდა.

**გუდაუთი.** 26 აპრილს შესდგა ადგილობრივ პარიკმახერთა კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ვაგრამ ადაბაშევი, მდივნათ ს. გოგიჩაიშვილი. განსახილველი იყო: პარიკმახერთა კავშირის დაარსება, სამუშაო დროს განსაზღვრა და სხვ. კავშირის დაარსება ერთხმათ გადაწყდა. სამუშაო დრო შემდეგ ნაირათ დააწესეს: საქმის დღეები დილის 6—საღამოს 6 საათამდი, მხოლოდ კვირა უქმე დღეების წინ კი, 6—11 საათამდი (ღამის) კვირა უქმე დღეები კი, მთელი დღით დაიკეტოს საპარიკმახეროები. წესის დამრღვევი დაჯარიმდება პირველად 15 მან. მეორეთ 25—მესამე 50—და მეოთხეთ კი სავსებით აეკრძალება დამაში სახელოსნოს გაღება. ჯარიმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს გადაეცემა. ეს წესი დაკანონებულია ადგილობრივ კომისარიატიდან და ძალაში შედის 27 აპრილიდან. კანონის დაცვის თვალყურის დევნა დაევალა ვაგრამ ადაბაშევს და ნესტორ მამალაძეს, რომლების ხელმოწერილი ოქმი მომქმედათ ჩაითვლება.

## კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.

16 მაისი (მეორე სხდომა).

კრებას თავმჯდომარეობს საორგანიზაციო. ბიუროს თავმჯდომარე მელიქ შახნაზაროვი. ის მოხსენებას აკეთებს და ამბობს, რომ დელეგატების წინასწარმა კრებამ გადასწყვიტა პრეზიდიუმის შედგენა 12 წევრისაგან. ამათში შევა საორგანიზაციო ბიუროს პრეზიდიუმი 3 კაცი, 1 მუსულმანი და 8 სხვადასხვა სასწავლებლების დელეგატები. მ. შახნაზაროვი სთხოვს მიიღოს თათბირის დადგენილება და აირჩიოს პრეზიდიუმი. ეს საკითხი მეტად მწვავე ხასიათს იღებს. იბმება საკითხი: თუ რა პრინციპის მიხედვით შეადგინონ პრეზიდიუმი. ერთნი წინადადებას იძლევიან პრეზიდიუმი აირჩიონ ტერიტორიის მიხედვით, მეორენი სასწავლებლების ტიპებისა და მესამენი კი ურჩევენ კრებას პრეზიდიუმში აირჩიონ სათანადოდ მომზადებულნი და ღირსეულნი. კრება ხმის უმეტესობით უკანასკნელ წინადადებას იღებს. თავმჯდომარე კრებას წინადადებას აძლევს დაასახელონ კანდიდატები პრეზიდიუმის წევრებისა. ამ დროს შემოდის ერთი ჯგუფის მიერ შედგენილი სია პრეზიდიუმის კანდიდატებისა, რომელთა რიცხვი განსაზღვრულია თორმეტით. ამ სიით პრეზიდიუმის შემადგენლობა ასეთია, როგორც ზემოთ აღნიშნული წინასწარი თათბირის მიერ შედგენილი სია. ამ სიის წინააღმდეგ ილაშქრებენ ფედერალისტები და მას პარტიულათ აღიარებენ.

გრძელდება კამათი შემოტანილ სიის გარშემო. ფედერალისტები ამტკიცებენ, რომ სია პარტიულია, ხოლო მოწინააღმდეგეები აშკარად უმტკიცებენ, რომ სია უპარტიოა, რადგანაც თორმეტი წევრიდან ოთხი: სამი კაცი საორგანიზაციო ბიუროს პრეზიდიუმი და ერთიც მუსულმანი არავითარ პარტიას არ ეკუთვნის. გზა-და გზა კრება საკითხს უხვევს და სხვა კითხვაზე გადადის, რისთვისაც კრება მეტად ჰიანურდება. ბოლოს კრება დიდი ხმის უმეტესობით იღებს წინასწარი თათბირის დადგენილებას და პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი თორმეტი რჩება. ამის შემდეგ კრება არჩევნებს შეუდგა. არიგებენ საარჩევნო ბარათებს. ამ დროს ფედერალისტები გადიან სათათბიროთ და კრებას არ უბრუნდებიან. კრება ირჩევს პრეზიდიუმს, რის შემდეგ კრება იხურება.

17 მაისი (დილის სხდომა).

კრებას ისევ საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე მ. შახნაზაროვი ხელმძღვანელობს. ფედერალისტები მოითხოვენ პროპორციონალურ არჩევნებს პრეზიდიუმში. სოც.-დემოკრატები და ს.-რევოლიუციონერები კი პრინციპიალურად არ არიან წინააღმდეგნი პროპორციონალურ არჩევნებისა, მაგრამ უმჯობესად მიაჩნიათ არჩევნები იმ სიის მიხედვით, რომელიც წინადღით იყო წარდგენილი. საქმე მეტად მწვავდება, კრება ცოტა ხნით სწყდება. ფრაქციები თათბირობენ. ს.-დემოკრატები და ს.-რევოლიუციონერები ფრაქციულ კრებაზე ისევ შემუშავებულ სიას ემხრობიან. იწყება საერთო კრება. კამათი ისევ პრეზიდიუმის არჩევის გარშემო წარმოებს. აქ ს.-რევოლიუციონერები, მოულოდნელათ ღალატობენ თავიანთ დადგენილებას და ფედერალისტების წინადადებას უერთდებიან. ასეთი მათი მოქმედება განცვიფრებას იწვევს ს.-დემოკრატებში. აქ პირველად ირაზმებიან ყველა პარტიები და ჯგუფები ს.-დემოკრატების წინააღმდეგ. ხმის უმეტესობით სწყდება პროპორციონალური არჩევნების მოხდენა. ამის შემდეგ ნ. ცინცაძე სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ს.-დემოკრატები, როგორც პრეზიდიუმში, ისე მის არჩევაში მონაწილეობას არ მიიღებენ, ხოლო რაც შეეხება საერთო მუშაობას, ისინი მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ. ამის შემდეგ კრება, გარდა ს.-დემოკრატებისა, იყოფა ჯგუფებად და პრეზიდიუმს ირჩევს. ამის შემდეგ სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა მეორე დილისთვის ინიშნება. საღამოსთვის იკრიბება პრეზიდიუმი ზოგიერთი კითხვების გადასაწყვეტად.

18 მაისი (დილის სხდომა).

კრება იხსნება დილის 11 საათზე.

კრებას მიმართავს მ. შახნაზაროვი და ამბობს, რომ პრეზიდიუმი უკვე არჩეულია და მას განაწილებული აქვს როლები: თავმჯდომარეთ ი. პალმოვი, მისი ამხანაგებათ ბ.ბ. მდივანი, ფალავა, ზანდუკელი, მახმუდოვი, ლისიციანი და პონომარიოვი. მდივნებათ: ბ.ბ. ქავთარაძე, ჯალალ ბეგოვის ქალი, კაკაბაძე, ქორიძე, მაზური, მინასაზოვი, ეეეცი, მიუნცი და რაფიდ ბეგოვი.

ამის შემდეგ მ. შახნაზაროვი უსურვებს კრებას ნაყოფიერ მუშაობას და მოუწოდებს პრეზიდიუმს შეუდგეს თავის მოვალეობას.

ი. პალმოვი აცხადებს, რომ ის არჩეულია პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ და არა საერთო კრებისა. საერთო კრების თავმჯდომარეს ყოველთვის ირჩევს თვით კრება. ამიტომ ის თავმჯდომარის ადგილს ვერ დაიჭერს, კრება მას ირჩევს თავმჯდომარეთ, რის შემდეგ ის შეუდგება თავის თანამდებობის ასრულებას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სციალ-დემოკრატიულ ფრაქციას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი თექვსმეტია, ხოლო მისი ჯგუფობრივი შემადგენლობა კი ასეთია: ოთხი სოც. რევოლიუციონერი, 4 ფედერალისტი, 1 დაშნაკცაკანი, 3 კადეტი, 2 მუსულმანი, ერთი უპარტიო და ერთიც ომში გაწვეული მასწავლებელი. შემოდის წინადადება საორგანიზაციო ბიუროს პრეზიდიუმის წევრების სიეზდის პრეზიდიუმში არჩევისა. ბიუროს წევრები კატეგორიულ უარს აცხადებენ.

ამის შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ წესრიგს კრების მსვლელობისა. ამას კრება თითქმის უკამათოდ ღებულობს და გადადის პირდაპირ დღიურ წესრიგზე. თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღიურ წესრიგში არის ორი მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ: ერთი ალ. ლომთათიძესა და მეორე ბ-ნი მალოკავისა. კრება ერთხმათ იღებს დღიურ წესრიგს.

თანამედროვე მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ალ. ლომთათიძე (ს. დ.). მეტათ შინაარსიან და დასაბუთებულია, რადგანაც მოლაპარაკეთათვის დრო განსაზღვრულია, თავმჯდომარე სცდილობს შეაჩეროს ორატორი, მაგრამ კრება ერთხმათ სთხოვს მას დაათავოს მოხსენება. ამხ. ლომთათიძე თავის მოხსენებას ჰყოფს სამ ნაწილად: თანამედროვე მომენტი, ომი და ზავი და კოალიციური სამინისტრო. თავის მოხსენებაში იგი ატარებს თბილისის მუშათა და სალდათების დეპუტატების შეხედულობას. კრება მას მხურვალე ტაშით აჯილდოებს.

ამის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ბ-ნი მალოკავი ხსნის თავის მოხსენებას.

მომხსენებლად გამოდის ჩემოდანოვი (ს.-რ.). ეს ეთანხმება რა ამხ. ლომთათიძეს პირველ ორ ნაწილში მოხსენებისა, ეკამათება მას კოალიციური სამინისტროს შესახებ და ამბობს, რომ სოციალისტებმა სწორი ნაბიჯი გადასდგეს, როცა სამინისტროში მონაწილეობა მიიღეს. ის სრულებით ამართლებს ამ გვარ ნაბიჯს და დაასკვნის, რომ საჭიროა ყოველ ღონისძიებით მხარი დაუჭიროთ კოალიციური სამინისტროს. ჩემოდანოვი არ ეთანხმება ამხ. ლომთათიძეს აგრეთვე ეხლანდელი რევოლიუციის განმარტებაში. ის ამბობს, რომ დღევანდელი რევოლიუცია არ არის არც ბურჟუაზიული და არც სოციალისტური, ხოლო რა სახელი უწოდოს მას, მან არ იცის. ამის შემდეგ იხსნება კამათი მოხსენების შესახებ. ეწერება ბევრი ორატორი. სამ საათამდის მხოლოდ რამოდენიმე ორატორი ასწრებს ლაპარაკს. სამ საათზე კრება წყდება საღამოს შვიდამდის.

**საღამოს სხდომა.**

კრებას თავმჯდომარეობს ი. პალმოვი. გრძელდება კამათი მოხსენების შესახებ. ორატორები თითქმის ყველგან ეთანხმებიან მომხსენებელს, მხოლოდ ზოგიერთ მუხლებში ეკამათებიან მომხსენებელს. ამ დროს კრებას თავს ანებებს თავმჯდომარე და მის ადგილს იჭერს ალ. მდივანი, რადგანაც საკითხი საკმაოდ გამორკვეულია და ორატორები ერთს და იმავეს იმეორებენ, კრება სპობს კამათს. ეძლევა სიტყვა ამხ. ლომთათიძეს, რომელიც უპასუხებს ყველა ორატორებს და იცავს თავის მოხსენებას. სიტყვის შემდეგ მომხსენებელი თავმჯდომარეს უდგენს წერილობით რეზოლიუციას. შემდეგი სიტყვა ეძლევა ჩემოდანოვს. ის ეკამათება ამხ. ლომთათიძეს და იმასვე იმეორებს, რასაც პირველ სიტყვაში. ჩემოდანოვიც რეზოლიუციას ადგენს. ამ დროს ამხ. ლომთათიძეს შემოაქვს განცხადება, რომელშიაც ამბობს, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს, რადგანაც ის მომხსენებელი იყო და ამისთვის უკანასკნელი სიტყვაც მას ეკუთვნოდა და არა ჩემოდანოვს. ამიტომ ის ითხოვს მიეცეს მას უკანასკნელი სიტყვა, როგორც მომხსენებელს. ამ განცხადების შესახებ იმართება კამათი. ბოლოს კრება ადასტურებს, რომ მომხსენებლებს სიტყვა მიეცათ შემუშავებული წესრიგის მიხედვით. მაშინ ამხ. ლომთათიძე სთხოვს თავმჯდომარეს მისცეს მას რეზოლიუციის დასაბუთების ნება. თავმჯდომარე უარს ეუბნება მას ასეთი სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. კრებას მღელვარება ეტყობა. თავმჯდომარე კრებას მიმართავს ამ კითხვის გადასაჭრელად. კრება თანდათან ღელავს და მოითხოვს სიტყვა მიეცეს ამხ. ლომთათიძეს. მიუხედავათ ამისა თავმჯდომარე მაინც უარზეა. მაშინ ამხ. ლომთათიძეს განცხადება შემოაქვს, მაგრამ თავმჯდომარე ამის უფლებასაც ართმევს. დარბაზში დიდი ხმაურობაა. ამასობაში ამხანაგი ლომთათიძე აცხადებს, რომ ის ხსნის თავის რეზოლიუციას და უკან მიაქვს, რადგანაც მას უკანონოთ მოექცენ, რაც გამოიხატება თავმჯდომარის მიერ უბრალო პარლამენტარული წესების დარღვევაში. ამის შემდეგ ის დარბაზს სტოვებს. დარბაზში ხმაურობა თან და თან მატულობს და არაფერი ისმის. ამ დროს გამოჩნდება ი. პალმოვი, რომელსაც კრება სთხოვს დაიჭიროს თავმჯდომარის ადგილი. ალ. მდივანი იძულებულია ადგილი ი. პალმოვს დაუთმოს. კრება განაგრძობს კამათს, მაგრამ რეზოლიუცია ვერ გამოაქვს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ს. რევოლიუციონერ ჩემოდანოვმა ჯერ ერთი რეზოლიუცია წარადგინა, ხოლო შემდეგ გამოსცვალა პირველი და ისეთ ნაირათ შესცვალა, რაც მის მოხსენების დედა აზრს არ შეეფერებოდა. ამაზე მას რამოდენიმე ორატორებმა მიუთითეს.

რეზოლიუციის გამოტანას კრება მეორე დღისთვის გადასდებს და კრებაც იხურება.

## კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების სიეზდი.

(პირველი დღე, 21 მაისი.)

21 მაისს თფილისში დაიწყო სხდომები კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების სიეზდისა. ჯერ-ჯერობით გამოცხადდა 300-ამდე დელეგატი.

სიეზდი გახსნა **ნოე ჟორდანიამ** ამიერ კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტის სახელით. მისასალმებელ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ სიეზდს ერთობ ძნელ პირობებში უხდება მუშაობა. მართალია, ძველი რეჟიმის დისციპლინა გაჰქრა მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს თავისუფლებაზე დამყარებული რევოლიუციონური დისციპლინა. ჩვენი მიზანია გავფანტოთ ის საზოგადოებრივი ქაოსი, რომლის წინაშე დღეს ვდგევართ. თვე ნახევრის უკან მოხდა მუშათა დეპუტატების სიეზდი. დღეს კი მუშებთან ერთად სიეზდზე მოსულხართ გლეხებიც, რაც პირველი მაგალითია. თფილისისა და ქუთაისის გლეხობა დიდი ხანია მუშებს შეუერთდა, პირველ სახელმწიფო დუმიდანვე მხარს უჭერს მუშათა დეპუტატებს და რა გასაკვირალია, რომ დღესაც ერთად აყრიდენ თავს. ეს მოვლენა უნდა გავრცელდეს მთელს კავკასიაში. აღმოსავლეთ კავკასიის გლეხობა დღესაც არ არის შეკავშირებული და თავისი წარმომადგენლები არ გამოუგზავნია. აქ მუშებმა და გლეხებმა უნდა შექმნან ცენტრალური კომიტეტი ჯარის ცენტთან ერთად კავკასიის საქმეების გასაძღოლათ. მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიყვანონ რევოლიუცია სრულ გამარჯვებამდე, ამ სურვილით მოგმართავთ თქვენ და იმედი მაქვს მივაღწევთ მიზანს.

შემდეგ სიეზდს ესალმებიან წარმომადგენლები. სიტყვები ითარგმნება ქართულ და თათრულ ენაზე (სომეხი დეპუტატები ყველა რუსულის მცოდნენი აღმოჩნდენ).

სიეზდი მხურვალე ტაშის ცემითა და ოვაციებით ეგებება **აკაკი ჩხენკელს**,—რომელიც ესალმება სიეზდს მე-4 სახ. დუმის ს.-დ. ფრაქციისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახელით ორატორი აღნიშნავს, რომ დღევანდელ პირობებში მთავარი სამუშაოა, ორგანიზაციული შეკავშირება მუშების, გლეხობის და ჯარის, მაშინ ბნელი ძალების მოქმედებასაც გასავალი არ ექნება... შემდეგ შეეხო ზავის და ომის საკითხს.

ბოლოს სიეზდს მიუთითა, საკუთარ კითხვებზე. ამიერ-კავკასია დასახლებულია ზნეჩვეულებებითა და ენით განსხვავებულ სხვადასხვა ერებით, მაგრამ მშრომელი მასსა ამ ერებისა გრძნობს, რომ მათ შორის არის შრომის, პოლიტიკისა და ინტერესების სოლიდარობა. მე დიდის სიამოვნებით ვესალმები თქვენის სახით კავკასიის ერებს... საქართველოს გლეხობა ყოველთვის მიყობოდა მუშათა კლასს, მაგრამ როცა აქ ვხედავთ სხვა ეროვნებათა გლეხების წარმომადგენლებსაც, აღტაცებაში მოვდივართ და განსაკუთრებით მივესალმები მათ. ნაციონალურ შუღლის გაღვივებაში, რომელიც დღეს საფრთხეს გვიქადის, არავითარი მონაწილეობა არა აქვს მშრომელ მასას და იგი სავსებით ნაციონალისტებისა და შოვინისტების საქმეა. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მთელ რუსეთს, რომ მუშათა კლასი არ მისცემს ნებას შოვინისტებს ერთმანეთს გადაჰკიდონ კავკასიის ერები. მე, როგორც კომისარიატის წევრი, ვამოწმებ, რომ კავკასია საფრთხეშია და მუშათა კლასმა ყოველივე საშუალებით უნდა შეუშალოს ხელი შოვინისტების მოქმედებას. მე არ მინდა ვიყო წინასწარმეტყველი, მაგრამ ჩვენ თუ დავკარგეთ თავისუფლება დავკარგავთ ნაციონალურ შეხლა-შემოხლის ნიადაგზე. ჩვენ უნდა შეერთებულათ ვიაროთ რუსეთის მუშათა კლასთან და გლეხობასთან ერთად საბოლოო მიზნის განსახორციელებლათ. ჩვენ შევსძლებთ გამოვგლიჯოთ ნაციონალისტებს ნაციონალური თავისუფლების დროშა ხელიდან. არა ისინი, არამედ მშრომელი ხალხი იბრძვის ერთა თავისუფლებისთვის. ეროვნებათა თავისუფლება შეიძლება მივიღოთ მხოლოდ რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის ხელიდან... გაუმარჯოს კავკასიის ერთა სოლიდარობას, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას და მის ავანგარდს: პროლეტარიატს გლეხობას და ჯარს.ა. ჩხენკელის სიტყვა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, ხანგრძლივ ტაშსა და ოვაციებს იწვევს.

კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდის პრეზიდიუმის სახელით სიეზდს ესალმება ამხ. **ხმელეცკი** (ს.-დ.), რომელიც ამბობს, რომ კავკასიის ჯარი არ დაუშვებს ცალკე ეროვნებათა არავითარ შოვინისტურ გამოსვლას. ჩვენ დავიცავთ რევოლიუციას საკუთარის გულმკერდითა და შუბებით, ხოლო თქვენ მოგვაწოდეთ პური და იარაღიო.

**ახტირსკი** (ს.-რ.) ფრონტის სიეზდისავე სახელით ესალმება სიეზდს და აღნიშნავს, რომ გამარჯვებისაკენ მივყევართ მხოლოდ მუშებისა, გლეხებისა და ჯარის გაერთიანებას. ჯარი მაგრათ დგას თავის პოსტზე, პირნათლათ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და შეგიძლიათ სრული იმედი გქონდეთ მისი. ხოლო თვით ხალხში იჩინა თავი უწესოებამ და ეს გვაღონებს ჩვენ. აქა-იქ ქადაგებენ მიწისა და ფაბრიკების ძალით ხელში ჩაგდებას. ეს გზა მეტათ სახიფათოა, მით უმეტეს კავკასიაში, სადაც სხვადასხვა ერები მოსახლეობენ. აქ არ უნდა ექნეს ადგილი ძალდატანებითა და მტაცებლურის გზით სხვისი ქონების მითვისებას, თორემ მოსალოდნელია ექსცესები.

**ნოე რამიშვილი** ესალმება სიეზდს რ. ს.-დ. მ. პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით და აღნიშნავს, რომ დღევანდელ რევოლიუციაში დაინტერესებულია სამი ძალა: პროლეტარიატი, გლეხობა და ჯარი. მუშებისა და ჯარის იმედი რეაქციონერებს არა აქვთ, იმათ აიმედებს შედარებით ნაკლებათ შეკავშირებული გლეხობა და ფიქრობენ დამფუძნებელ კრებაზე მათი საშუალებით მონარქიული წყობილების აღდგენას... მუშებმა და ჯარმა გამოთქვა თავის შეხედულება რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ომის დაბოლავების საკითხის შესახებაც. რეაქციონერები აქაც თავის იმედებს გლეხობაზე ამყარებენ, მოვა დამფუძნებელ კრებაზე და შეძლება მოგვეცემა განვახორციელოთ ჩვენი მიზნებიო. და ბოლოს, რეაქციონერები ფიქრობენ, რომ ნაციონალურ საკითხის გადაჭრის დროს წაიკიდებიან ერები და რევოლიუციაც დასამარდებაო. თქვენი სიეზდი დაამტკიცებს, რომ ეს უნიადაგო ოცნებაა, გლეხობა უკვე კავშირდება, მოითხოვს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საპატიო ზავს და სამართლიანათ სჭრის ნაციონალურ საკითხს. 905 წ. კავკასიის დემოკრატიამ შესძლო ძირშივე მოესპო შოვინისტების გამოსვლა და იმედია დღესაც ვერ გაიმარჯვებენ ნაციონალისტები. და ეს იმიტომ, რომ აქ, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში გლეხობა, რომელზედაც მთავარ იმედს ამყარებდენ რეაქციონერები, თავიდანვე მიემხრო მუშათა კლასს, ამას რამდენიმე წლის ისტორია აქვს. ისინი მუდამ მხარს უჭერდენ მუშათა კლასის წარმომადგენლებსა სახ. დუმაში გზავნიდენ ჩხეიძეს, წერეთელს, სკობელევს, ზურაბოვს და სხ. იმედია ეს მოვლენა აღმოსავლეთ კავკასიაზედაც გავრცელდება, მაშინ ნიადაგი აღარ ექნება ნაციონალურ შუღლს. რევოლიუციის ძალა პროლეტარიატის, გლეხობისა და ჯარის გაერთიანებაშია. უნდა მოხდეს ყველა ერთა გაერთიანება დემოკრატიულ პლატფორმის გარშემო და მაშინ დაიმსხვრევა იმპერიალისტებისა და რეაქციონერების იმედებიც და დამფუძნებელი კრება მოგვცემს დემოკრატიულ რესპუბლიკას, საპატიო ზავსა და ცალკე ეროვნებათა განთავისუფლებას.

**მერხელიოვი** ესალმება სიეზდს ს.-რ. პარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით და ამბობს, რომ გლეხობა თავიდანვე მიემხრო რევოლიუციის ავანგარდს, პროლეტარიატსა და ჯარს, რომ საჭიროა მისი შეკავშირება, რათა შესაძლებელი იქნეს რევოლიუციის გაღრმავება და დამფუძნებელ კრებამდე მიყვანაო.

სიეზდი ოვაციებს უმართავს მეორე სახ. დუმის დეპუტატს არ. ზურაბოვს, რომელიც ესალმება სიეზდს თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით. ჩვენ პასუხის მგებელი ვართ რევოლიუციის შედეგებში. დღის სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ფაქტიურათ ჩვენს ხელშია და ამით პასუხისმგებელიც სახელმწიფოს წინაშე... რევოლიუციამ წამოაყენა ომის ლიკვიდაციის საკითხი. ყველა კითხვები უნდა გადავჭრათ საერთაშორისო თვალსაზრისით... რუსეთის დემოკრატიის დამარცხება მთელი ბურჟუაზიის დღესასწაული იქნებაო.

**ანთაძე** ესალმება სიეზდს სოც.-ფედ. სახელით და აღნიშნავს კავკასიის ფედერატიულ პრინციპებზე მოწყობის საჭიროებას და მიწის საკითხის ისე გადაჭრას, რომ გლეხს მიეცეს შეძლება 7 საათი იმუშაოს დღეშიო...

დანარჩენი მისალმებები შემდეგი სხდომისათვის გადაიდო. არჩეულ იქნა სამანდატო კომისია.

თავმჯდომარის წინადადებით სიეზდი ესალმება და ოვაციებს უმართავს პირველი დუმის ს. დ. დეპუტატს მუშა მიხაილიჩენკოს, რომელიც დელეგატათ არის გამოგზავნილი სიეზდზე. მოკლე მაგრამ შინაარსიან საპასუხო სიტყვაში მიხაილიჩენკო მოუწოდებს დელეგატებს გაერთიანებისა და ნაყოფიერ მუშაობისაკენ.

გ. ალათიშვილი.

## კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდი.

(მე-21 დღე, 20 მაისი).

მე-19 და ნაწილი მე 20 სხდომისა მოხდა დახურულ კარებში. მე-20 სხდომის მეორე ნაწილში წაკითხულ იქნა მოხსენება სავეტომობილო საქმის შესახებ.

**გეინიკემ** წარმოადგინა რეზოლიუცია, რომელიც ეწინააღმდეგება მომხსენებლის რეზოლიუციას. ორივე რეზოლიუცია გადაეცა შემათანხმებელ კომისიას. სიეზდმა ერთხმათ მიიღო სასურსათო სექციის საერთო რეზოლიუცია, რომლის თანახმათ ჯარის სურსათითა და სხვა საჭირო საგნებით უზრუნველყოფის საქმე სავსებით გადადის მთავარ უფროსისა და მასთან არსებულ სხვადასხვა დარგში მცოდნე პირთაგან შემდგარ საბჭოს ხელში; უნდა დაარსდეს მხოლოდ ერთი საინტენდანტო მთელ კავკასიის ფრონტზე, რომ ცენტრალურ კომიტეტს საშუალება მიეცეს გაუწიოს მის მოქმედებას კანტროლი.

მე-21 სხდომას თავმჯდომარეობს **ევგენი გეგეჭკორი**. სახალხო მასწავლებელთა დემობილიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს მასწავლებელი **პალმოვი**. მომხსენებელი აღნიშნავს თუ, რამდენათ ჩამორჩენილია რუსეთის გლეხობა და რომ დამფუძნებელ კრების არჩევნებში ბრმა იარაღათ არ გამოადგეს რეაქციონერებს, საჭიროა მისი გათვითცნობიერება, ამისთვის საჭიროა სახალხო მასწავლებლები განთავისუფლებულ იქნან სამხედრო სამსახურისაგან, რომ დაუბრუნდენ სოფელს, სადაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, ვინაიდან ხალხი მათ ნდობით ეპყრობა და ყურადღებით მოუსმენს. მართალია, ისინი ჯარშიაც არიან საჭირო, მაგრამ ჯარში სხვებიც მოიპოვებიან, ჯარი უკვე რევოლიუციონურია და სოფელში კი მასწავლებლის ოდენა სარგებლობას ვერავინ მოიტანსო.

ჩაეწერა 32 ორატორი, მაგრამ სიეზდმა დაადგინა სიტყვა მიეცეს მხოლოდ 10 ორატორს. 5 მოწინააღმდეგეს და 5 მომხრეს მომხსენებლის წინადადებისა. მომხრენი პალმოვის მოსაზრებით ასაბუთებდენ თავიანთ აზრს, სოფელი სიბნელეშია, ლტოლვილი ჯარისკაცები, რომლებიც საგრძნობ რიცხვს შეადგენენ და მიიღებენ მონაწილეობას დამფუძნებელ კრების არჩევნებში მოუმზადებელი არიან და საჭიროა მათ მივაშველოთ სახალხო მასწავლებლებიო. ხოლო მოწინააღმდეგენი ამტკიცებდენ, რომ დღეს მთავარი მნიშვნელობა ჯარს აქვს, ჯარზეა დამყარებული ჩვენი მომავალი და საჭიროა მისი შეკავშირება-გათვითცნობიერება, მასწავლებლები აქ არიან საჭირონიო.

პალმოვი თავის უკანასკნელ სიტყვაში მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მინსკის სიეზდმა უკვე მიიღო დადგენილება განთავისუფლებულ იქნან ყველა მასწავლებლებიო. პალმოვის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა მასწავლებლების დემობილიზაციას, სიეზდმა უარყო და მიიღო ხმის დიდი უმრავლესობით გეგზადიანის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ რადგანაც გლეხთა ორგანიზაციულად შეკავშირების საქმე უკვე დაკისრებული აქვს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და რევოლიუციისათვის მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარს, ყოველგვარი, ვისიც უნდა იყოს, ნაწილობრივი დემობილიზაცია გლეხების შეკავშირებისათვის რევოლიუციის საწინააღმდეგოა და უარყოფილი უნდა იქნეს.

ამის შემდეგ დელეგატი **ხრამცოვი** აკეთებს მოკლე მოხსენებას ენიკეიში მომხდარ ამბების გამო, სადაც ბნელი ძალები, ყოფილი ჟანდარმების პროვოკაციით აღელვებულ ჯარისკაცებს მოუკლავთ სრულიად უდანაშაულო მილიციის უფროსი ა. სულთანოვი. თავმჯდომარის წინადადებით სიეზდმა პატივი სცა ფეხზე ადგომით სულთანოვის ხსოვნას და მის ოჯახს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა. ხრამცოვის მოხსენებით სიეზდმა მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

ჯარის ორგანიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს **შილოვი**, რომელიც განმარტავს სექ-

ციის მიერ შემუშავებულ პროექტს და მოუწოდებს სიეზდს დაამტკიცოს იგი.

კავკასიის ჯარის ცენტრალურ კომიტეტის

ორგანიზაციის შესახებ გააკეთა ხოჯოლცოვმა, კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

ვენე ალათიშვილი.

# სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

### ქ ვ ა რ ც ხ ა ნ ა.

ადგილობრივ სპილენძის ჩამომსხმელ ქარხნის მუშებში ძველი დახავსებული წესწყობილების დროსაც არსებობდა მცირე რიცხვისაგან შემდგარი ჯგუფი რ. ს. დ. მ. პარტიისა, მაგრამ მიუხედავად სიმცირისა მუშებში დიდი გავლენა ჰქონდა. ეს რასაკვირველია თავ-ზარს სცემდა აქაურ ქარხნის ადმინისტრაციას და მუდამ სდევნიდა მას. მიუხედავათ ყველა დაბრკოლებისა ჯგუფი მაინც განაგრძობდა მუშაობას. სოც. დემ. პარ. დღეს ყავს ასამდის წევრი და დღითი დღე ემატებიან წევრები. ადგილობრივ კოლექტივში არიან ვას. ხამუტოვი, პლატონ ელევტეროვი და ვას. თავაძე. პარტიაში ჩაწერა ყოველ დღე შეიძლება.

გახ. თავაძე.

### ხ ა რ ა გ ა უ ლ შ ი.

12 მაისს მოხდა სხდომა ადგილობრივ ს.-დემოკრატიულ კომიტეტის. დღის წესრიგი იყო: 1) პრეზიდიუმის არჩევა, 2) მუდმივი ბინა, 3) წევრების მიღება, 4) სააგიტაციო ბიურო. პირველათ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ ს. ქ. ალავერდოვი, მის ამხ. ვ. ა—ძე, მდივნათ ჩერნიავსკი, ხაზინადრათ ასათიანი. დაადგინეს: გამოსძებნონ შესაფერისი ბინა. ახალი წევრები მიიღონ ორი პარტიული წევრის პასუხისმგებლობით. მოეწყოს სალექციო ბიურო.

მეორე კრება მოხდა 14 მაის. კრებას მოხსენდა, რომ ბინა ჯამოვძებნეთ და მდივანს შეუძლია ჩაიბაროსო. ამის შემდეგ გაირჩა კიდევ რამდენიმე კითხვა. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო პარტიულმა ლიტერატურამ. დაადგინეს: სთხოვონ საოლქო კომიტეტს, რაც შეიძლება დაჩქარებით გამოსცეს საჭირო წიგნაკები რაც შეეხება მომავალ კონფერენციას—გადაწყდა მიიღონ მონაწილეობა და თავის დროზე გაგზავნონ წარმომადგენელი.

ნაპერწკალი.

### ბ ა თ უ მ ი.

პირველ რაიონის კომიტეტმა ბათუმის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პარტიისა თავის პირველ სხდომაზე 27 გასულ აპრილს დაადგინა: რაიონული კომიტეტის სხდომები ხდებოდეს კვირაში თითოჯერ—ყოველ ოთხშაბათობით, მხოლოდ კომიტეტის ხელმძღვანელთა სხდომები კი ყოველ ორშაბათობითაც. ხელმძღვანელებათ ერთხმათ არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარეთ ამხ. ლისიცინი, მდივნათ ამხ. ს. სადრაძე, თავმჯდომარის თანაშემწეებათ ამხ. დახნოვიჩი და ჯარისკაცი ლ. ჰინჭარაძე და ხაზინადრათ ამხ. სტეპანიანი.

მთელს რაიონში წრეები ყველგან მოწყობილია და ამხანაგები ენერგიულადაც ასრულებენ თავ-თავის მოვალეობას. აგრეთვე ჯარისკაცებშიაც მოწყობილია შესაფერისი ორგანიზაციები.

მალე მოხდება ბათუმის ოთხივე რაიონული კომიტეტების კრება.

ხ.

### ქ. ქ უ თ ა ი ს ი.

კვირას, დილას 10 საათზე მოხდა ქუთაისის სოც.-დემ. ახლათ არჩეული კომიტეტის კრება. კრებას თავმჯდომარეობდა გრ. ურატაძე. მდივნათ იყო ლეო რუხაძე.

კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებები: გაფართოვდეს პარტიული მუშაობა ფართოთ. გამოემუშავა თემები ლექციების და რეფერატისათვის, რომელიც გადაეცემა პროპაგანდისტთა კოლეგიას. ლექციები იქნება, როგორც პარტიის წევრებისათვის, ისე არა წევრებისათვისაც.

მოეწყოს უბნებში დემოკრატიული კლუბები და ამ კლუბებში იკითხებოდეს სისტემატიურათ მომენტის შესაფერ თემებზე ლექციები.

კომიტეტი აუცილებელ საჭიროთ სთვლის ამ ცოტა ხანში მოწვეული იქნას პარტიული საგუბერნიო თათბირი. დროის დანიშვნა და თათბირის მოწვევა კრებამ მიანდო პრეზიდიუმს.

პარტიული კონფერენციის შესახებ, რომელიც მოწვეული უნდა იქნას ამ ცოტა ხანში თფილისში, კრება ადგენს: ყველა იმ კითხვების გასარკვევათ, რომელიც იქ უნდა გაირჩეს მოწვეული იქნას ფართო პარტიული კრებები, დამზადდეს ყველა კითხვებზე მოხსენებები და ამავე კრებაზე არჩეულ იქნენ დელეგატები.

გაზეთის გავრცელების შესახებ კრება საჭიროთ სცნობს მოეწყოს უბნებში გამავრცელებელი ჯგუფები.

პარტიის წევრების ჩაწერის შესახებ კრებამ გადასწყვიტა გაგრძელდეს პარტიის წევრების მიღება იმავე საზომით, როგორც დღემდის.

დაბოლოს მოხთა პრეზიდიუმის არჩევნები: პრეზიდიუმში არჩეული იქნა ხუთი კაცი: გრ. გიორგაძე, გრ. ურატაძე, ვლ. ქუთათელაძე, ლეო რუხაძე, და ლ. გრიგოლია.

### ხაღ. ჯ უ ღ ვ ა.

მოხთა დამფუძნებელი კრება რ. ს. დ. პ. კრებამ აირჩიეს ბიურო შვიდი კაცისაგან შემდგარი. თვიური გადასახადათ შემოიღეს ერთი პროცენტი ჯამაგარზე.

ბიურომ შეიძინა სოც.-დემოკრატიული ლიტერატურა.

მ. დოლიძე.

### თ ფ ი ლ ი ს ი.

ტფ. კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. ამხანაგების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ვისაც საწევრო წიგნები აქვთ დარიგებული თავთავიანთ რაიონების ბიუროში დააბრუნონ. წიგნები რაიონის კოლექტივების თავმჯდომარეს უნდა ჩააბარონ.

თფილისის ორგანიზაც. რ. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონის კოლექტივის ბიურო მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩ. პირველი საქალებო გიმნაზიაში, სადაც წევრებათ ჩაწერა შეიძლება.

ამავე რაიონის 1 კლუბის, (ს.-დ. კლუბი) იქვეა მოთავსებული მეორე კლუბი კი ვაჟეთა მეექვსე გიმნაზიაში.

# პროვინციის ცხოვრება.

**ლანირის საზოგადოება.** (ქუთაისის მაზრა). 7 მაისს მოხდა ლანირის საზოგადოების მრავალ-რიცხოვანი ყრილობა განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ყრილობას უნდა აერჩია სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი და მართლ მსაჯულები. დაესწრო დ. ხონის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ი. გორდაძე, ს.-დ. პარტიის წარმომადგენელი ი. ჭავჭანიძე და ს.-ფ. ვ. ვადაჭკორია. კრება გახსნა ი. გორდაძემ, რომელმაც მოკლეთ გაუმარტა საზოგადოებას თუ, რა მიზნით არის ისინი მოწოდებულნი და რა უფლებებით სარგებლობენ. შემდეგ კი მოუწოდა საზოგადოებას—აერჩიათ თავმჯდომარე. თავმჯდომარეთ საზოგადოებამ აირჩია ერასტი ბ. ბუაძე.

ვიდრე არჩევნები შესდგებოდა, ილაპარაკეს ორივე პარტიის წარმომადგენლებმა.

როდესაც არჩევნებს შეუდგნენ, ს.-დ. ორგანიზაციის დავალებით თავმჯდომარემ ყრილობას წარუდგინა ადრევე შემუშავებული სია კომიტეტის წევრებისა და მართლმსაჯულებისა და წინადადება მისცა ხალხს დაესახელებინათ თუ ვისმე სურდა სხვა პირები, მაგრამ ასეთები არ აღმოჩნდენ და კენჭი ეყარა სიას.

სოფლის აღმასრულებელ კომიტეტში შედიან: სილოვან პ. რუხაძე, ივანე თ. ჭავჭანიძე, მდ. დომენტი მხაიძე, მექი პ. ბალავაძე, ნინა ბალავაძე, ანთიმოზ მელქაძე, მელქისედეკ ფრანგიშვილი, გიგო თ. ლალანიძე, ივანე კ. მანჯგალაძე, ივანე რუხაძე, გიორგი გ. აბრამია, მიხეილ მ. გეგელია; კანდიდატები: ფილიპე აზიანიძე, აბრაკო ბუაძე და დიმიტრი თხილავა. ყველა ამათმა მიიღო 981 თეთრი და 80 შავი. მართლ-მსაჯულებათ არჩეულ იქმნენ: დავით მეგრელიშვილი, პავლე გაბრ. მანჯგალაძე, იაკობ მერაბის ძე ბუაძე, ივანე ქაიხ. რუხაძე და კოწია კუჭავა, რომლებმაც მიიღეს 1003 თეთრი და 58 შავი.

ფაცო.

**ხოფ. მოხისი.** (გორის მაზრა). 14 მაის მოხთა მოხისის საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრო 20 სოფელი. კრება გახსნა გ. გომართელმა და მისცა წინადადება აერჩიათ თავმჯდომარე და მდივანი. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ გორის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვარლამ მიხაილის ძე გოგუა და მდივნათ აპ. ჯორბენაძე. ჰქონიეს მსჯელობა სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებზე და გლეხთა საბჭოს მნიშვნელობაზე. ილაპარაკეს ორატორებმა, რომლებმაც გააცნეს კრებას დღევანდელი მომენტი. ელ. კარბელაშვილმა სოციალ-ფედერალისტების სახელით ილაპარაკა. მას უპასუხეს. შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს და საბჭოში 21 კაცი აირჩია. საბჭომ თავისი მხრით აღმასრულებელი კომიტეტი 5 კაციდან.

ბამბუკი.

**სამეგრელო.** (სენაკის მაზრა). 15 მაისს ამხ. ანჯაფარიძე საგანგებოთ გამოწვეულ იქმნა ახალ-სენაკიდან ს. თეკლათში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოსაწყობათ, მარა ვინაიდან პარტიის წევრი მხოლოდ 40-ამდე აღმოჩნდა, რაიც შეადგენდა წევრთა უმცირესობას, ამიტომ ორგანიზაციის მოწყობა გადაიდო 19 მაისისთვის, ხოლო რაც შეეხება ბიბლიოთეკის საქმეს, იგი მოწესრიგდა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით შეხვდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებას. დაადგინეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსდეს ს. თეკლათის ცენტრში, ხოლო თვითეულ კუთხეს კი ქენეს ცალ-ცალკე თავიანთი მხოლოდ სამკითხველო. ტეხნიკურათ ამ საქმის მოგვარება დაევალა გამგეობას 5 კაცისაგან შემდგარს. დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ საქმეში ადგილობრივ მცხოვრებთ ამხ. ბორის სჯაიას და ამხ. სიმონ ნიკოლავას. სამკითხველო დაარსდა ჩვენი ბელად ნოე ჟორდანიას სახელზე. შემდეგ შეაგროვეს ფული ჟურნალ გაზეთების გამოსაწერათ. შეგროვდა სულ 112 მანეთი. მადლობის ღირსნი არიან დიმიტრი ესებუა და ნესტორ მისაბიშვილი.—პირველი გაზეთ „ალიონ“-ის მთელი წლით და მეორე კი 3 თვით გაზეთ „ერთობის გამოწერისთვის.

ამხ. მონდობილებით „დახელი-ქალი.“

**ხაბუმი.** (ზუგდიდ. მაზრა). წელიწადზე მეტია, რაც წალენჯიხიდან რამდენიმე გავლენიანი პირის მეოხებით ხაბუმეში გადმოიტანეს სასამართლო. ამან გამოიწვია უკმაყოფილება წალენჯიხის მცხოვრებლებში. ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ წალენჯიხელებმა მოინდომეს სასამართლოს ისევ წალენჯიხაში გადატანა. და საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მეოხებით მოინდომეს ამ საქმის მოგვარება. ამან უსიამოვნება დაბადა ხაბუმელ გლეხებში (ხაბუმე 12 ვერსითაა დაშორებული წალენჯიხზე). 8 მაისს ხაბუმეს რაიონის მცხოვრებლებმა მოიყარეს თავი და იმსჯელეს ამ საქმის შესახებ. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: სასამართლო დროებით დარჩეს ხაბუმეში, ხოლო საშვალება მიეცეს ხალხს თვით გამოსთქვას თავისი აზრი და იქ მოთავსდეს სასამართლო, სადაც მოისურვებს უმრავლესობა.

ხ. მუხურელი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

მამასახლისი ალექსი კოშაძე, თედო გალუსტაშვილი, მოსე გალუსტაშვილი, გიგო ედიშერაშვილი, მიქელა ედიშერაშვილი, ვანო ხათაშვილი (ჩინჩახვა), ია ყურაშვილი (ჭიპიანი), მეტე ხუცაშვილი, ბასილა ხუცაშვილი, მატა მაისონაშვილი, კონა გოგინაშვილი, დათა მერებაშვილი და კოკა კოშაძე. ესენი ყვლეფდენ სოფელს და სცარცვავდენ ყველას მამასახლისის მეთაურობით. სოფლის მცხოვრებთ აღარა ჰქონდათ მოსვენება ამათგან.

სოფელ ხოვლის მცხოვრებნი გთხოვთ გამოაცხადოთ ზემოხსენებული პირები თქვენს გაზეთში, რომ მათ არ ქონდეთ უფლება სოფლის საქმეში გარევისა. ხელს აწერს 60 კაცი.

მადლობას უცხადებთ სად. ნატანების მცხოვრებთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და გაიღეს წვლილი ჩვენი მე-3 როტის, მე-6 კავკასიის მომუშავე ბატალიონის ჯარისკაცებისათვის გაზეთის გამოსაწერათ. სულ 31 მ.

ამხ. დავალებით გ. კვერენჩხილაძე.

ჯ. ქ. ვიქტორ ლომთათიძეს გამოვატანეთ ქართველ მეომრების შორის შეგროვილი გაზ. „ერთობის“ ფონდისათვის 23 მან. და წერილიც. როგორც გავიგეთ ეს ფული მან არ გადასცა რედაქციას და მიითვისა. ეხლა არც ვიცით სად იმყოფება თვითონ. გვინდა მოვთხოვოთ პასუხი და ამიტომ თუ ვინმემ იცის სად იმყოფება გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: Кавказская армія 5-ый арм. корпусъ, 233 воен. хлѣбопекарня, Константину Кунцулія.

ბათუმის სასტუმრო რესტორანების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს ამხანაგ ილია ანტონის ძე მეგრელიშვილს, რომელმაც ასი მანეთი შემოსწირა დასახელებულ პროფესიონალურ კავშირის საჭიროებისათვის.

მონდობილობით გამგეობის თავმჯდომარე ი. ჩხაიძე.

მადლობას ვუცხადებთ მირიან ბუკიას და ნოეს, რომლებმაც განსვენებული მამის ხსოვნის აღსანიშნავათ შემოსწირეს ბუკნარის წიგნთსაცავ-სამკითხველოს 100 მ. ნამეტი ბერძენიშვილისამ 10 მ., აგრეთვე პროკოპი ელიაძემ და ევტიხი ჩიგოგიძემ ოცდა ხუთ-ოცდა ხუთი მ. სეით შალიკაშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ. დარისპან კალანდაძემ 10 მ. სულ 170 მ.

პატივისცემით ბუკნარის უფ. წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა.

მოქალაქე ლევან მაქსიმეს ძე ზენაიშვილმა შეკრიბა თავის ნაცნობებში 236 მ. წ. კ. საზ. ლანჩხუთის განყოფილების სასარგებლოთ, რისთვისაც განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს, როგორც თვით ლ. ზენაიშვილს, ისე შემომწირველებს.

გამგეობის თავმჯდომარე მღვ. ე. ჩხაიძე, მდივანი ი. ფირცხალაიშვილი.

„მეგობრის“ 350 №-ში მოთავსებულია კორესპონდენცია, „პარტიული ბრძოლა და პროვოკატორობა“, სადაც ნათქვამია, თითქოს ჩვენ მათ ვდევნიდეთ, სრულ ბოიკოტს ვუცხადებდეთ და კიდეც სიკვდილითაც ვემუქრებოდეთ. და მოჰყავს მაგალითი. ვითომც ერთი გლეხი სამუშაოთ მისულიყვეს ფედერალისტთან—მასთან მისულა ვიღაცა და აუკრძალია მუშაობა, შემდეგ მივარდნია გლეხს და ტანზე უკანასკნელი ხალათი შემოუხევია. ატირებული გლეხი, როგორც კორ. მოგვითხრობს, დაცდენია ხელიდან ტყის კაცს და დაგლეჯილ დაფლეთილ ხალათს ბაზრის თავში ნემსით აკერებდა“, მაგრამ კითხვა იბადება, მარტო „დევნილის“ თვალმა ნახა ეს გლეხი, რომ ბაზრის თავში ხალათს აკერებდა თუ სხვამ?!.

ეს გლეხი, როგორც გამოირკვა, კომისართან იყო, ის მართლაც ავრცელებდა ხმებს, მაგრამ როდესაც შეკითხებიან საქმის გამოსარკვევათ, ვისთან მუშაობდი, ან სად, რომელ მხარზე მიმითითეო“—მაშინ უარი განუცხადა. აქ კი ეჭვი შეეპყრა კომისარს მის საქციელში. დაიწერა მისი სახელი და გვარი, კაცი კი მიიმალა. ს. დ. პარტიაში ყოფილა ადგ. ასეთი „აქტიური“ მუშაკი, რომელსაც თავის დემაგოგიურ გამოსვლებით ერთგვარი დეზორგანიზაცია შეაქვს ხალხშიო, ამბობს კორ. და მოყავს ყალბი ცნობა. „3 მაისს წიგნის მაღაზიაში „კულტურაში“ ყოფილა შეკრებილი 5—6 ინტელიგენტი, ბაასი ქონიათ მომენტზე, მათ შორის ვყოფილვარ მეც და უნდა მეთქვას რიხიანათ იქ მდგომი ჯარისკაცისთვის: „თუ დღეს დეზერტირები გაგყავთ, სულ ფედერალისტების ბრალია, მათ არ სურთ ომის გათავება. ისინი ზავის წინააღმდეგი არიან“-ო. მე კი იმ 5—6 ინტელიგენტთა შორის იმ დროს კულტურაში სრულებით არ ვყოფილვარ, საქმის ვითარება კი შემდეგში იყო: ერ. ლექვას მაღაზიის წინ იყვნენ შეკრებილნი შემდეგი პირნი: მღ. გერასი ხაჟომია (ფედ.), ვალ. მებუკე ს.-ფედ.), ალ. მაჭარაძე. (ფედ.) გრიშა ბერიძე (ფედ.) ათანასე ხარაბაძე და ერმალო კიწმარაშვილი, (სოციალ-დემოკრატები), ერ. კიწმარაშვილი ლაპარაკობდა ჯარისკაცის სიტყვებს და სწორეთ მე შემხვდა იქ გავლა, ვითომდა ს. ფედერალისტებს ომის გაგრძელება სურთ (ჯარისკაცის სიტყვ.) მაშინ მე ვეუბნები ერ. კიწმარაშვილს: „მართალია, პარტიაში არიან ისეთები, რომლებსაც სურთ ომის გაგრძელება, მაგრამ როგორც პარტია პრინციპიალურათ წინააღმდეგია ომის-თქო“, „დევნილი“ კი ფაქტს ამახინჯებს და სრულიათ უსაფუძვლოთ თავზე მახვევს მას, რასაც ადგილი არ ქონდა.

დეე ასეთ უსაფუძვლო ბრალდებას თვით მეგობრის მკითხველმა დასდონ მსჯავრი, მე კა მოვითხოვ, დღიდან ამ წერილის დაბეჭვდისა ერთი კვირის განმავლობაში, აიხადოს პირბადე და გამომყვეს სამედიატორო სამართალში სინამდვილის აღსადგენათ. ჩემი მხრით მედიატორეებათ ვასახელებ: პოლიკარპე ლ. ბახტაძეს და კორნელი ქაცარავას.

მასწ. ნიკო ფ. გვაზავა.

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ნიკიტა პ. იმნაშვილს, რომელმაც თავის ნაცნობ-მეგობრებ შორის შეაგროვა 89 მან. 40 კაპ.

შუხუთის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობა.

ლანჩხუთის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია უღრმეს მადლობას უცხადებს პეტროგრადში მცხოვრებ ესტატე იმნაიშვილს, რომელმაც შემოსწირა გიმნაზიას საუცხოვო გამოცემები სრული თხზულებანი ტურგენევის, გონჩაროვის, მერეჟკოვსკის და კიდევ სხვადასხვა საჭირო წიგნები გიმნაზიის წიგნთ-საცავისათვის. აგრეთვე მადლობას უძღვნის ლანჩხუთის წ. კ. გ. ს. განყოფილებას, რომელმაც შემოსწირა გიმნაზიას ქართული წიგნების საყიდლად 30 მან.

ლანჩხუთის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია.

ს. ჭყონაგვარა. (გურია) აქ არსდება უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო; უსახსრობა გვიშლის ხელს. ამიტომ ვთხოვთ ქველმოქმედთ დაგვეხმარონ წიგნებით, ფულით და ჟურნალ-გაზეთებით. მისამართი: Ст. Нигоиты Студ. Николаишвили для б.-читальни.

მზრუნველ კომიტეტის მონდობილობით სტ. ნიკოლაიშვილი.

მადლობას უცხადებთ ვასილ ლ. ხუნწარიას, რომელმაც ს. ნოღის (გურია) კოოპერატივის სასარგებლოთ შემოსწირა ასი მანეთი და მით საშვალება მოგვცა საფუძველი ჩაგვეყარა ამ კულტურული დაწესებულებისათვის.

ს. ნოღის მცხოვრებთა დავალებით ვიქტორ შანიძე.

# ცნობები
### ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი მელიტონ ივანეს ძე კოთხონჯია მსახურებდა 326 ბელგარაისკი პოლკში 82 დივიზიაში 9 როტაში, 2 ზვოდში ვთხოვთ ვინც რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს: დ. ნაოღალევი (სენაკის მაზრა) თამაკონის მომხმარებელი საზოგადოება „სინათლე“ მღვდელი კონსტანტინე ჯანჯღავა.

— პოდპრაპ. ვალერიან შარაშიძე, რომელიც დაიჭრე სპარსეთში ჩამოიყვანეს და მოათავსეს თფილისის მერვე ლაზარეთში.

— ჯარისკაცი სპირიდონ იულის ძე მაკალათია მსახურობდა კავკასიის მომქმედ ჯარში გორნორაბოჩი ბატალიონში მე-2-ე როტაში. გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: Абаша-Носири, Кутаисской губ. Мето Соломонія.

— ჯარისკაცი პაპუშა გიორგაძე მსახურებდა 78 ნოვოგინსკი პოლკში მე-2 ე როტაში. მისი ამბავი 1915 წლის მერე არაფერი ვიცით. თუ ვინმემ იცის რამ გთხოვთ გვაცნობოთ ამ მისამართით: Кавказская армія 115-ти Кавказскій четверочный военный транспортъ Евстафію Петровичу Пичхаія.

— ილიკო ინანაშვილი მსახურებდა 52 ქვეითა ვოლენსკი პოლკში მეთერთმეტე როტაში. ვინც რამე იცის მის შესახებ გვაცნობეთ: სადგური მელანი (კახ. რკინ. გზა) მელანის მცხოვრები ზაქარია ინანაშვილი.

— ტელეფონისტი კალისტრატე თეიმურაზის ძე გურული მსახურებდა მე 12-ე გუსარის ახტირის (Ахтырскій) პოლკში. въ командѣ связи. 22 თებერვლამდის ის იმყოფებოდა ბესარაბიაში ქალ. კიშინიოვის მიდამოებში. მას შემდეგ კი მის შესახებ არაფერი ვიცით. გთხოვთ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით: м. Чiатуры. Кут. губ. Казначейство. Шалвѣ Гурули.

— ჯარისკაცი სოლომონ სიმონის ძე ვაშაყმაძე მსახურებდა 20 კავკასიის მსროლელთა პოლკში მე-12-ე როტაში, 1 ვზვოდში. ვსთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ მაცნობეთ ამ მისამართით: ტფილისი „Кавказское Слово“ ვალოდია ურუშაძეს.

## ჩვენი ფოსტა.

ჯ. ქ. მათე [illegible]. გაზეთი გეგზავნებათ 15 მაისიდან. დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ კუპონზე სწორათ არ იყო აღნიშნული ფულის რაოდენობა.

— ჯ. ქ. ხ. მგელაძეს. გაზეთი ყოველდღე გეგზავნებათ. როცა ადრესს იცვლით უნდა გვაცნობოთ.

— ხილ. გოგოძეს. 5 მ. რედაქციაში ინახება. განცხადება გვიან მივიღეთ.

— ი. გურგენიძეს. განცხადება არ მიგვიღია. ფული რედაქციაში ინახება.

— ვლ. წილოსანს. განცხადება გვიან მივიღეთ. ფული რედაქციაში ინახება.

— პეტრე ხეფერთელაძეს. განცხადება არ მიგვღია. ფული რედაქციაში ინახება.

— ხ. თოფურიას. განცხადება გვიან მივიღეთ. ფული რედაქციაში ინახება.

ხაშური. ილია მეტრეველს. გამოიწვიეთ სამედიატორო სამართალში უგაზეთოთ. განაჩენს დავბეჭდავთ.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

ექიმი მღვდელი
ს. ა. ლექავა
შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52.
10—6

გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისუფლებისა, [illegible], დიდი სოლინოიდი ხელოვნური მთის [illegible] და არსონვალის დენებით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭლექის, სისხლ ნაკლებობის, ძილობის, ნევრალგიისთვის. ხერხემალის ტვინის ავათმყოფობის [illegible], და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

სტუდენტი პეტროგრადისა უნივერსიტეტის
(ყოფილი მასწავლებელი)
ამზადებს ყველა უწყების პირველ-დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხი და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა, № 5.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სდლოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქუჩინიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქ უ თ ა ი ს ი.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქ უ თ ა ი ს ი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

## მატარებლების მიმოსვლა
ამიერ კავკასიის რკინის გზებზე
(ნაჩვენებია თფილისის დრო).

თფილისიდან გადის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ საფ. | № 3, | 11 ს. | 08 წ. | დილ. |
| " სამგზ. | " 9, | 10 " | 13 " | საღ. |
| ბაქოსაკენ საჩქ. | " 6, | 11 " | 13 " | დილ. |
| სამგზ. | " 8, | 3 " | 54 " | დღ. |
| " საფ. | " 4, | 9 " | 28 " | საღ. |
| ყარსისაკენ სამ. | " 4-8, | 11 " | 13 " | საღ. |
| თელავისაკენ | " 7 | 7 " | 58 " | დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან სამ. | № 10, | 9 ს. | 52 წ. | დილ. |
| " საფ. | " 4, | 8 " | 38 " | საღ. |
| ზ.-ბორჯ. სამ. | " 20, | 7 " | 43 " | დილ. |
| " " | " 18, | 10 " | 12 " | საღ. |
| ბაქოდან საფ. | " 3, | 10 " | 08 " | დილ. |
| " სამგზ. | " 7, | 4 " | 12 " | საღ. |
| " საჩქ. | " 5, | 8 " | 48 " | საღ. |
| თელავიდან | " 3, | 7 " | 58 " | საღ. |

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა [illegible] გაბაევის შესახვევი № 1